F75/3 N13836

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

# კომუნისტი

საქ. კ. პ. ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.

მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 2½ (მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი, სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.

პროვინციაში 12,000 მან.

№ 205 პარასკევი, 8 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 8 სექტემბერი 1922 წ. № 205

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო

(ამით აცხადებს ყველა ც. ა. კ. წევრთა საყურადღებოთ, რომ პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად სექტემბრის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება)

## ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია

გახ'სნის დღე და დღის წესრიგი ცალკე იქნება გამოცხადებული.

ცენტ. აღმასრულებელ კომიტეტის მდივანი: თ. კალანდაძე.

(251)

# მუშათა მდგომარეობის შესახებ

ჩვენი ერთი მთავარი ამოცანათაგანს შეადგენს ბრძოლა ახალ ეკონომიურ პოლიტიკის უარყოფითი და მახინჯ მხარეებთან. კერძოდ ასეთი მოვლენები შესამჩნევია მუშათა მდგომარეობის დარგში.

კერძო მწარმოებლებს და ვაჭრებს ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ გაუღვიძა სურვილი მუშების ძველებური განუსაზღვრელი ექსპლოატაციის. ზოგიერთი სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივი წარმოებებიც აბრუნებენ ჩვენი დღევანდელი ეკონომიურ პოლიტიკას და მოგების თუ სხვა მიზეზებით ზოგან გვერდს უვლიან არსებულ კანონებს. მაგრამ მასიური ხასიათი ამ მოვლენამ მიიღო კერძო დაწესებულებებში.

ჩვენი გაზეთის „მუშათა ცხოვრების" განყოფილებაში ამის დამამტკიცებელი უამრავი მასალები იბეჭდება. ეს მასალები თითქმის მარტო შრომის დაცვის კანონების დარღვევის ფაქტებს აღნიშნავენ. რა ფორმებში გამოიხატება ეს დარღვევა და მუშების უფლება ინტერესების შელახვა? სამუშაო დროის გადიდება, მოზარდების ზედმეტი ექსპლოატაცია, მუშებისადმი უდიერი მოპყრობა, მუშაობა ანტისანიტარულ პირობებში, ზღვეულების ფულის შეუტანლობა, მუშა-მოსამსახურეთა მიღება შრომის ბირჟის გარეშე, მათთვის დროზე ჯამაგირების მიუცემლობა და სხ. ფართე და მასსიურ ხასიათს ღებულობს.

მართალია, შრომის დაცვის, პროფკავშირთა და სხვა სათანადო ორგანოები ზომებს ღებულობენ ასეთი მოვლენების წინააღმდეგ, ხდება ურჩი ექსპლოატატორების დაჯარიმება, საჯარო გასამართლება და სხ., მაგრამ არ ეტყობა, რომ ამ ზომებს დამაკმაყოფილებელი ნაყოფი გამოეღოთ და მუშების ინტერესები სავსებით იყოს დაცული. კერძო მწარმოებლები თითქო ისევ თავისუფლად გრძნობენ თავს და განაგრძობენ დაქირავებულ მუშა ხელის გადაჭარბებულ ექსპლოატაციას და შრომის კანონების სისტემატიურ დარღვევას. ზოგიერთი სახელმწიფო და საზოგადო წარმოების ადმინისტრაციაც ისევ გამოდის მხოლოდ თავის დაწესებულების საწარმოო ინტერესებიდან და ნაკლებად ფიქრობს მუშათა და სახელმწიფოებრივ ეკონომიკის ინტერესების შერიგებაზე. ეს გარემოება მოწმობს, თუ რამდენად არა აქვთ ზოგიერთ მათ შეგნებული ჩვენი სახელმწიფოს ბუნება და საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა.

ასეთ მოვლენებს ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. ყველამ, იქნება ის კერძო მწარმოებელი, თუ სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელი,—უნდა იგრძნოს, რომ ვცხოვრობთ და ვმოქმედობთ მშრომელთა სახელმწიფოში, სადაც პირველ რიგში დგას მუშა-მოსამსახურეთა ინტერესების დაცვა და მათი უზრუნველყოფა.

და თუ დღემდე დაქირავებულ შრომის დაცვის საქმე სათანადოდ არ არი მოგვარებული, ეს აიხსნება არა მარტო მძიმე ობიექტიური პირობებით, რომელზედაც უყვართ მითითება, არამედ ახალი ეკონომიური პოლიტიკის ცალმხრივი გატარებით და მაშასადამე, მისი დამახინჯებით.

რაც შეეხება კერძო ვაჭრებსა და მწარმოებლებს, აქ, რა თქმა უნდა, ობიექტიური პირობები სრულებით არ არის მოსატანი, მათ საკმაოზე მეტი საშუალება აქვთ მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილებისა არსებულ კანონების ფარგლებში, მაგრამ ისინი, როგორც ბოროტი სპეკულიანტები და მუშათა კლასის მოსისხლე მტრები, ცდილობენ ძველი ურთიერთობების აღდგენას, როცა საშუალება ჰქონდათ მუშათა განუკითხავი ექსპლოატაციის და ამ გზით, მუშებიდან უკანასკნელი წვენის გამოწურვით თავიანთი უძირო ჯიბეების გავსებას.

ჩვენ აშკარათ უნდა განვაცხადოთ, რომ ორივე შემთხვევაში ასეთი შეუწყნარებელი ფაქტების შესაძლებლობა და მით უმეტეს ხშირ მოვლენად გადაქცევა, როგორც ეს არის დღეს ჩვენში, მიეწერება შრომის დაცვის ორგანოების სისუსტეს.

საკმარისი არ არის კანონების დამრღვევთა წინააღმდეგ ოქმების შედგენა, საჭიროა მართლა გატარდეს ცხოვრებაში ყველა საამისო დადგენილებანი და შეუბრალებლათ დაისაჯონ ყველა ისინი, ვინც ამა თუ იმ მოსაზრებით გვერდს უვლის არსებულ კანონებს და არღვევს მუშა-მოსამსახურეთა ინტერესებს.

სასტიკი დაცვა დაწესებულ სამუშაო დღის, ჰიგიენურ პირობების შექმნა მუშაობისათვის, შრომის ბირჟის საქმის უკეთ დაყენება, რათა მის გარეშე, აგრედვე რიგს გარეშე არ ხდებოდეს მუშა-მოსამსახურეთა მიღება, ჯამაგირების თავის დროზე დარიგება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ყოველ სახის სოციალ დაზღვევის ფართე ორგანიზაცია, უმუშევართა უზრუნველყოფა და სხ. უნდა შეადგენდეს სათანადო სახელმწიფო აპარატის განსაკუთრებული ზრუნვის საგანს.

ჩვენი სახელმწიფო მშრომელთა სახელმწიფოა. მისი ბედი დამოკიდებულია მუშათა კლასის მდგომარეობაზე. სათანადო ორგანოებს და პირებს პირველ ყოვლისა ეს უნდა ჰქონდეთ მხედველობაში და მათ განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებებით უნდა ცდილობდნენ ისინი მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ და უფლებრივ ინტერესების უზრუნველყოფას და დაცვას. ხოლო ყველა იმათ, ვინც სისუსტეს გამოიჩენს ან ხელს შეგვიშლის ამ საქმეში, ადგილი არ უნდა ჰქონდეთ პროლეტარიატის დიქტატურის სამფლობელოში. ასეთი მავნე ელემენტები უნდა იქნან ალაგმულნი პროლეტარიატის რკინის ხელით.

# პირველი გაფრთხილება

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება მეხუთე წელიწადია რაც არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სარგებლობს რუსეთის მშრომელ მასების დიდი უმრავლესობის ნდობით, მიუხედავად იმისა, რომ იგი აწარმოებს ძალიან რთულ და პასუხსაგებელ მუშაობას ქვეყნის დანგრეულ მეურნეობის აღსადგენად, და წარმატებით გამოჰყავს ქვეყანა უკიდურეს გაღატაკების, აწეწილობის და შიმშილობის პერიოდიდან, მიუხედავად ყველაფერ ამისა, ბურჟუაზიულ ინტელიგენციის განსაზღვრული ფენები მაინც არ ურიგდებოდენ საბჭოთა ხელისუფლებას, არ ჰკარგავდენ კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალების იმედს და მუდამ ეწეოდენ ასე თუ ისე აშკარა და ხან ფარულ ბრძოლას ბურჟუაზიულ რეჟიმის დასაბრუნებლად.

როდესაც ჩვენ გვქონდა ფრონტები ამ ინტელიგენციის ჯგუფები ან იხიზნებოდენ საზღვარ-გარედ ან უწევდენ დახმარებას მაშინდელ თეთრგვარდიელების არა ლეგალურ ორგანიზაციებს, ან ყოველგვარი სხვა საშუალებებით სცდილობდენ ზიანი მიეყენებიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ისინი დასცინოდენ სახელმწიფოს რომელსაც არ ჰყავდა საკუთარი ინტელიგენციის საკმაო კადრი და აწარმოებდენ აშკარა და ფარულ საბოტაჟის პოლიტიკას.

როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ გაიმარჯვა თეთრ გვარდიელებზე, როდესაც მოხდა ფრონტების და ბანდიტების აჯანყების ლიკვიდაცია, ეს ჯგუფები ჩიხში მოექცენ, მაგრამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში მათ ხელახლა გამოიჩინეს სიცოცხლის ნიშნები. ისინი ცდილობდენ ეხლა ახალ პირობებთან შეგუებას, შემპიდროებას და ჯერ მოსწავლე ახალგაზრდობის და შემდეგ წვრილ ბურჟუაზიულ ობივატელურ მცხოვრებთა შორის იდეურ გავლენის მოპოვებას. ისინი სცდილობდენ საბჭოთა ხელისუფლების დროს გამოენახათ „ლეგალური" შესაძლებლობა იმისთვის, რომ ხანგრძლივათ და მედგრად განეგრძოთ იგივე მუშაობა, რომელიც მარცხით დამთავრდა კონტრ-რევოლიუციის აშკარა ბრძოლის დროს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ეს ფენები, რომელნიც იდგნენ დამხობილ სოციალურ და პოლიტიკურ რეჟიმის ნიადაგზე, სცდილობდენ გაებათ კავშირი მცხოვრებთა იმ ელემენტებთან, რომელთაც არ შეეძლოთ შერიგება მუშათა და გლეხთა ხელისუფლებასთან, თავისი ქონების და პოლიტიკურ პრივილეგიების დაკარგვასთან. იმათ გამონახეს რამდენიმე დასაყრდნობი პუნქტები, თავიანთ ანტი საბჭოთა მუშაობის საწარმოებლად, უმთავრეს მათ ციტადელს წარმოადგენდა უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც ყველაზე ნაკლებათ შეეხო ოქტომბრის გადატრიალება. პოლიტიკანური მეცნიერი პროფესორები ყოველ ნაბიჯზე უწევდენ წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც შეუდგა უმაღლეს სწავლა-განათლების რეფორმებს და მუშათა ფაკულტეტების კედლებში მუშების და გლეხების მასიურ შეყვანას. ყოველ ხელსაყრელ და არა ხელსაყრელ შემთხვევებში ისინი ატარებდენ აქტიურ და მასიურ წინააღმდეგობის პოლიტიკას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ, ეძებდენ კავშირს სტუდენტობის ბურჟუაზიულ ნაწილთან, აცხადებდენ საბოტაჟს უმაღლეს სწავლა-განათლების რეფორმის და ბედავდენ აგრეთვე აშკარა ბრძოლის წარმოებასაც, როგორც ეს მოხდა ამა წლის გაზაფხულზე პროფესორების აკადემიურ გაფიცვების დროს.

ამ ჯგუფებმა დაარსეს მთელი რიგი ჟურნალებისა, რომლებიც უმთავრესად გამოდიოდენ პეტროგრადში და რომლებშიდაც უმეტეს შემთხვევებში საკმაო სიფრთხილით, მაგრამ დაჟინებით, მტრულად და თანდათანობით ცდილობდენ სახელი გაეტეხათ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებათათვის, ატარებდენ რა მათ, ვითომ და მეცნიერულ კრიტიკას ქვეშ. პუბლიცისტიკის სფეროშიდაც ისინი ამავე ხაზზე იდგნენ. მხატვრული ლიტერატურა, რომელიც წარმოიშვა ამ წრეებში, იყო აგრეთვე მიმართული საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ. ფილოსოფიის სფეროში ისინი ქადაგობდენ მისტიციზმსა და სამღვდელოების ბატონობას, ავსებდნენ რა აუარება კერძო გამოცემებს საშუალო საუკუნოების მოდერნიზაცია ქმნილ იდეოლოგიით. საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე ექიმების ჯგუფი გულ მოდგინედ ამზადებდა საბჭოთა საწინააღმდეგო განწყობილებას თავის წრეში, რაც ასე აშკარად გამოიხატა ექიმების უკანასკნელ ყრილობაზე. აგრეთვე აგრონომების კონტრრევოლიუციონური ელემენტები აწარმოებდენ ამავე მუშაობას თავიანთ დარგში, ეძიებდენ რა დახმარებას სტუდენტებისა და ესერებისებურად მოწყობილ კულაკების შორის. კოოპერაციაში ამავე მუშაობას აწარმოებდენ ესერები და მენშევიკური ელემენტები, რომლებიც მუდამ ძლიერნი იყვნენ ჩვენს კოოპერატიულ მოძრაობაში. დასასრულ, ამ საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგოდ განწყობილ ელემენტების ზოგიერთი ჯგუფები ეძიებდნენ დამაკავშირებელ წერტილს სასულიერო წოდების იმ კონტრ-რევოლიუციონურ ნაწილთან, რომელმაც აქტიურად გაილაშქრა საეკლესიო განძეულობათა ჩამორთმევის წინააღმდეგ.

დაბოლოს, ყველა ეს ჯგუფები მჭიდრო კავშირში იყვნენ ჩვენს თეთრ გვარდიელთა ემიგრაციასთან, რომელიც ღებულობდა ფულებს ჩვენი მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ მთავრობებისაგან და ყოველ მხრივად სახელს უტეხდენ საბჭოთა რუსეთის ყოველგვარ გამოსვლებს საერთაშორისო ასპარეზზე.

ამავე ჯგუფებიდან გამოდიოდნენ უცხოეთის თეთრგვარდიელთა გაზეთების კორესპონდენტები, რომლებიც კვებავდნენ უცხოეთის პრესას ყალბი და სამარცხვინო ინფორმაციებით.

მთელი ეს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო კონტრ-რევოლიუციონური მუშაობა წარმოებდა ამ ბატონების მიერ თვით საბჭოთა ხელისუფლებისა და მშრომელი ხალხის ხარჯზე იმდენად, რამდენადაც ეს ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები იმყოფებოდენ საბჭოთა სამსახურში, ღებულობდენ სპეცების ჯამაგირს, ირიცხებოდენ აკადემიურ ულუფაზე და იყენებდნენ იმ დახმარებას, რომელსაც აძლევდა ჩვენი განათლების სახალხო კომისარიატი სწავლულებს.

საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა ბოლო მოუღოს ამ კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას.

სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს დადგენილებით ექიმების აგრონომების და ლიტერატორების პროფესიის უფრო აქტიური კონტრ რევოლიუციონური ელემენტები გადასახლებული არიან ნაწილობრივ რუსეთის ჩრდილოეთ გუბერნიებში, ნაწილობრივ საზღვარ გარედ. თუ ამ ბატონებს არ მოსწონთ საბჭოთა რუსეთი—დეე ისინი დასტკბენ ბურჟუაზიულ თავისუფლების სიკეთით ჩვენ საზღვრების გარეშე.

საბჭოთა ხელისუფლებამ გამოიჩინა ძლიერ დიდი მოთმინება ამ ელემენტების მიმართ, იმ იმედით, რომ ისინი დაბოლოს მიხვდებიან თავის იმედების უაზრობას წარსულის დაბრუნების შესახებ. ის აძლევდა მათ სრულ საშუალებას ემუშავნათ ჩვენი მეურნეობის აღდგენისათვის და ნამდვილ სამეცნიერო საქმისათვის. მაგრამ გაკადეტებულ და გაესერებულ ელემენტებმა არ მოისურვეს ამ გზით სიარული. და სწორეთ ამით მათ წამოაყენეს თავისი კანდიდატურა საზღვარ გარედ გამგზავრებისათვის.

ეს გადასახლება კონტრ-რევოლიუციონური ელემენტების, რომელნიც ფიქრობდენ, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის დროს მათ უფლება ექნებათ იდეურად მოამზადონ კონტრრევოლიუციონური გადატრიალება, აშკარად დაანახვებს მათ და დარჩენილ მათ კოლეგებს, რომ ისინი მოსტყუვდენ თავის ანგარიშში. საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ გამაფრთხილებელ ზომებს, ეჭვს გარეშეა, მხურვალე თანაგრძნობით შეხვდება რუსეთის მუშები და გლეხობა, რომელნიც მოუთმენლად ელოდენ, ამ ვრანგელის და კოლჩაკის იდეოლოგების რ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიიდან განდევნას.

გადასახლებულთა შორის თითქმის არ არის არც ერთი დიდი მეცნიერი. მათი უმრავლესობაა—პროფესსორის პოლიტიკოსანთა ელემენტები, რომელნიც უფრო ცნობილნი არიან, როგორც კადეტების პარტიის წევრნი, ვინემ დამსახურებულნი მეცნიერები. მაგრამ ამ გადასახლებამაც კიდევ ერთხელ უნდა მოაგონოს მუშებს და გლეხებს, რა ცოტა ჰყავს მას ჯერ საკუთარი ინტელიგენცია და რამდენი რამ აქვს გასაკეთებელი შეგნებულ ცხოვრებისათვის გამოღვიძებულ მასსებს თავის საკუთარ კულტურის, თავისი მეცნიერების, თავისი პროფესორების, ექიმების, აგრონომების და ყოველგვარ სპეციალისტების შესაქმნელად. ამგვარი მუშაობა ფართე მასსების მეცნიერებისაკენ მიზიდვით უკვე დაიწყო და ის მომავალშიც გაგრძელდება.

ბურჟუაზიის ინტელიგენციის აქტიურ კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტების გაძევება არის საბჭოთა ხელისუფლების პირველი გაფრთხილება ამ წრეების მიმართ საბჭოთა ხელისუფლება ისე როგორც წინედ, მომავალშიაც დააფასებს და ყოველ გვარად ხელს შეუწყობს ძველი ინტელიგენციის და სპეციალისტების იმ წარმომადგენლეთ, რომელნიც ლოიალურად იმუშავებენ საბჭოთა რუსეთთან, როგორც მუშაობს ამ ჟამად მასთან სპეციალისტების საუკეთესო ნაწილი. მაგრამ ის წინანდებურად ძირშივე აღმოფხვრის ყოველ გვარ ცდას ლეგალურ შესაძლებლობის გამოსაყენებლად მუშურ გლეხური ძალაუფლების წინააღმდეგ აშკარა ან საიდუმლო ბრძოლისა და ბურჟუაზიულ მემამულეთა ძალაუფლების რესტავრაციისათვის.

„პრავდა"

# რადიო-დეპეშები

(„კავროსტა")

## ოსმალეთ-საბერძნეთის ომი

**მოსკოვი.** 7 სექტემბერი. გაზ. „ივნინგ სტანდარტდის" ცნობით საბერძნეთის მთავრობამ მიმართა მოკავშირე სახელმწიფოებს თხოვნით იშუამდგომლონ ოსმალეთთან დროებითი ზავის დასადებათ.

— კონსტანტინეპოლში მყოფ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და ამერიკის კრეისერებს უბრძანეს გავიდნენ სმირნაში.

— ოსმალეთის ჯარებმა აიღეს ბრუსა. სამხრეთის ფრონტზე ოსმალეთის ჯარები განაგრძობენ შეტევას სმირნის მიმართულებით.

— გაზ. „ტანის" ცნობით, საბერძნეთის მთავრობა თანახმაა მოახდინოს მცირე აზიის სრული ევაკუაცია. მდგომარეობა რთულდება ფრაკიის საკითხით. გაზეთი ფიქრობს, რომ ბერძნების ცდა ფრაკიის შესანარჩუნებლად უნდა იქნეს უარყოფილი. ინგლისის მთავრობის პრესა აღნიშნავს, რომ ინგლისი არასოდეს არ იქნება თანახმა ფრაკიის ანგორისათვის გადაცემისა. გაზ. „დეილი ტელეგრაფი" აცხადებს, რომ მოკავშირეებმა არ უნდა დართონ ნება ქემალს გადალახოს მცირე აზიის საზღვრები. ქემალის ცდა დაარღვიოს მთლიანად ხელშეკრულება, უნდა უარყოფილ იქნეს. გაზეთი აცხადებს, რომ ინგლისის დიპლომატიის მთავარი სრუტეების თავისუფლების დაცვისაკენ (დასასრული არ არის მიღებული).

**ოპერატიული ცნობები.**

**ანგორა.** 2 სექტემბერი მავთულით, (დაგვიანებულია) ოსმალეთის არმია განაგრძობს შეტევას, ბერძნები გარბიან. ხელთ იგდეს მრავალი ტყვეები და სამხედრო ნადავლი. ესკი-შეხირში და უშაკში მოსჩანს დიდი ხანძარი.

**გაზეთების ცნობები.**

**ანგორა.** 2 სექტემბერი (მავთულით, დაგვიანებით). გაზეთების ოფიციალური წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ჯარებმა აიღეს კუტახია და ჩევრიკ-დური და ხელთ იგდეს 200 ზარბაზანი.

არის აგრეთვე არა ოფიციალური ცნობები უშაკის და ესკი შეხერის აღების შესახებ.

**მანიფესტაციები.**

**ანგორა.** 2 სექტემბერი დეპეშით, (დაგვიანებულია), პირველ სექტემბერს ანგორაში, გამარჯვების გამო, ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების წინ გაიმართა დიდი სახალხო დემონსტრაცია.

**ქემალ-ფაშის მიმართვა ჯარებისა და ხალხისადმი.**

**ანგორა.** 2 სექტემბერი დეპეშით, (მიღებულია დაგვიანებით). პირველ სექტემბერს მუსტაფა ქემალ ფაშამ მიმართა ჯარებს ბრძანებით, რომელშიდაც ის ქებას შეასხამს ოსმალეთის ჯარების და ხალხის ბრწყინვალე თავგანწირულებას, რაც გამოიხატა საბერძნეთის ჯარების აფიონ კარა გისართან და დუმლუ პიკარასთან განადგურებაში, რომელიც მოხდა მოკლე ხნის განმავლობაში. ბრძანება თავდება სიტყვებით: „წინ, ერთად ერთო არმიავ, რომელმაც მიაღწია ხმელთაშუაზღვას" ქემალ-ფაშის მიმართვა ხალხისადმი მიუთითებს საბერძნეთის მთავარი ძალების განადგურებას, და ნაციონალურ იდეალების განხორციელების მოახლოვებას.

**„იენი გიუნი" გამარჯვების შესახებ.**

**ანგორა.** 2 სექტემბერი. გაზეთი „იენი გიუნი" პირველ სექტემბრიდან ათავსებს მოწინავეს, რომელშიაც ავტორი (თავმჯდომარე საგარეო კომისიისა), სწერს: ჩვენი ჯარების გამარჯვება აძლევს ოსმალეთის ხალხს შესაძლებლობას მიაღწიოს დიდ ეროვნულ შედეგებს.

**სმირნის ევაკუაცია.**

**ბორდო.** 6 სექტემბერი. სმირნაში ინგლისელი მოქალაქენი თავსდებიან ინგლისის გემებში და უცდიან ამბების შემდეგ განვითარებას.

**უძლურთა მტრობა.**

**ბორდო.** 6 სექტემბერი (რადიო). ბერძნებმა დასწვეს აფინ კარა-გისარის მუსულმანთა კვარტალები.

**ათინაში.**

**ბორდო.** 6 სექტემბერი (რადიო). ბერძნების ჯარების დამარცხებაში ლიბერალები ბრალს სდებენ. მთავრობას და უმაღლეს სარდლობას. გაზეთების უმრავლესობა მოითხოვს კაბინეტის გადადგომას.

**სტამბოლის საკითხი.**

**კრაუდენი.** 6 სექტემბერი (რადიო). მორგენტაუმ მისცა ინტერვიუ პრესის წარმომადგენლებს სტამბოლის ოსმალეთისადმი გადაცემის შესახებ, ბერძნების ჯარების სრული დამარცხების და მათ მიერ მცირე აზიის დატოვების დროს.

## გერმანია და ანტანტა

**გერმანია და ამერიკა**

**ჰანოვერი.** 6 სექტემბერი (რადიო). სამშაბათს კანცლერ ვირტს ქონდა ხანგრძლივი თათბირი ამერიკის ელჩთან.

**გერმანია და საფრანგეთი**

**ნაუენი.** 6 სექტემბერი (რადიო). გერმანიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ტექსტი სტინესის მოლაპარაკებისა საფრანგეთის განადგურებულ ოლქების მესაკუთრეთა წარმომადგენელ მარკიზ დე ლიუბერსაკთან.

**გამოაშკარავება**

**ბორდო.** 6 სექტემბერი (რადიო). ბერლინის სოციალისტური პრესა, არჩევს რა სტინესის საფრანგეთის ფრანგეთის მესაკუთრეთა ფედერაციასთან მოლაპარაკების ტექსტს, კითხულობს, მართალია თუ არა, რომ სტინესმა მიიღო მონოპოლია საფრანგეთის განადგურებულ ოლქების აღდგენისათვის საჭირო მატერიალის მიწოდებაში; და რომ ხელშეკრულების შედგენაში თავის მონაწილეობამ მისცა სტინესს 6 პროც. საკომისიო. პრესის აზრით შეუძლებელია შევათანხმოთ სტინესის შეურიგებელი პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ და გერმანიის მთავრობის პოლიტიკა ამავე საფრანგეთის მიმართ.

**მუშების მიერ უარის თქმა**

**ბორდო.** 6 სექტემბერი (რადიო). ბერლინში პროფკავშირებმა, მათ რიცხვში მეშლაროეთა პროფ. კავშირმა, გადაწყვეტით უარი განაცხადეს ზედმეტ სამუშაო საათებზე, რომელიც ნაგულისხმევია სტინესის მიერ საფრანგეთის მესაკუთრეთა ფედერაციასთან დადებულ ხელშეკრულების გარანტიებში.

**სტინესის ხელშეკრულება**

**ბორდო.** 6 სექტემბერი (რადიო). სტინესის ხელშეკრულება საფრანგეთის მესაკუთრეთა ფედერაციასთან წარდგენილია სახელმწიფო მრეწველობის ფედერაციის დასამტკიცებლად. იმ დროს, როდესაც გაზეთების უმრავლესობა ხელშეკრულებას მხარს უჭერს, სოციალისტური პრესა ლაპარაკობს სტინესის მიერ თავის რწმენის ღალატზე, რომელიც ამ რწმენის გულისთვის თავის დროზე წინააღმდეგობას უწევდა ვისბადენსკის.

**შემნახველი კასებში**

**ჰანოვერი.** 6 სექტემბერი (რადიო). შემნახველ კასების წლიური ანგარიში ამტკიცებს საშუალო კლასის და მუშების მიერ დაზოგვის შემცირებას.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### ყირიმში.

**ყირიმის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტში.**

**სიმფეროპოლი.** 1 სექ. მუშაობის ახალ საფუძველებზე გადასვლის შემდეგ ყირიმის დამშეულთა დამხმარე ცენტრალურმა კომიტეტმა გააფართოვა თავის მოღვაწეობა ყირიმის დამშეულ მეურნეობის აღსადგენად. დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომიტეტთან ამ დღეებში დაარსდა მეურნეობის აღმდგენელი კომისია. ამ ჟამად დამშეულთა დამხმარე კომიტეტის და საბჭოთა ხელისუფლების ყველა სამძღვანელო ორგანოების მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს შემოდგომის ნათესების არეს გაფართოვების და გაუმჯობესობის საქმეს. შემოდგომაზე დასათეს სათესლე მასალის შესაძენად (საჭიროა 1 მილიონი ფუთი) გაიგზავნენ წარმომადგენლები მოსკოვში, უკრაინაში და საქართველოში. ყირიმი იმედოვნებს, რომ მეზობელ რესპუბლიკების და კერძოთ საქართველოს დახმარებით შეძლებს სასურველ შედეგების მიღწევას სათესლე მასალის თავის დროზე მიღების საქმეში, რაც ფრიად საჭიროა საშემოდგომო თესვის კამპანიისათვის. შემოდგომის კამპანიის თავის დროზე გატარებით მოახლოვდება დრო ყირიმში შიმშილობის ლიკვიდაციისა და სახალხო მეურნეობის აღდგენისა.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა უკვე შეიმუშავა მომავალი წლის მოქმედების გეგმა, და ამავე დროს მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს სასოგადოებრივ მუშაობის ფართოდ დაყენებას. საზოგადოებრივ მუშაობის საწარმოებლად ყირიმის მომხმარებელმა საზოგადოებამ გადასდო 40 ფუთი ფქვილი, რაც რა თქმა უნდა საკმარისი არ არის დასახულ გეგმის განსახორციელებლად.

საერთოდ ყირიმის დაზიანებულ მეურნეობას რომელ დარგზედაც არ უნდა მივაქციოთ ყურადღება ყოველგან პირველ რიგში სდგას გარედან ფართო დახმარების საჭიროება.

**უკრაინაში ექსპედიციის გაგზავნა სათესლე მასალის შესაძენათ.**

**სიმფეროპოლი.** 1 სექტემბერს ამ ამ დღეებში სიმფეროპოლიდან გაემგზავრა უკრაინაში (ჟიტომირში და ვინიცაში) კომისია მიწათმოქმედების და სასურსათო სახ. კომისარიატების წარმომადგენლთა შემადგენლობით 500.000 ფ. სათესლე მასალის შესაძენად შემოდგომის თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

**ყირიმის სამეურნეო ფრონტზე.**

**სიმფეროპოლი.** 1 სექტემბერი საუტილიზაციო ქარხანა, „კოსტი", რომელიც 2 თვის წინად გადაეცა ყირიმის საამშენებლო კომიტეტს შეკეთებულია და მოწყობილია ფართო მოქმედებისათვის. ქარხანაში აშენებულია ფეჩები ქვაბებით ძვლების მოსახარშავად და ცხიმის მოსადუღლებლად. ქარხანაში მოწყობილია შენობა საფეიქრო სახელოსნოსათვის.

# კაპიტალიზმის სამეფოებში

## გერმანია

**ცუდი კვების გამო.**

**ჰანოვერი.** 6 სექ. (რადიო). 4,000 ბავშვებიდან, რომლებიც შემოწმებულ იქნენ ექიმების მიერ 2,000 ბავშვზე მეტი აღმოჩნდა დაავადმყოფებული საერთო სისუსტით და სისხლ ნაკლულოვანებით, ცუდი კვების მიზეზით ბავშთა მდგომარეობა უარესია, ვინემ ავსტრიაში და რუსეთის დამშეულ რაიონებში.

**ჯამაგირების მომატება.**

**ჰანნოვერი.** 6 სექტ. (რადიო). რეიხსტაგის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს, მარკის დაცემის გამო, გაადიდონ მოსამსახურეთა ჯამაგირი 30 პროცენტით.

**ლეიპციგის ბაზრობა.**

**ჰანნოვერი.** 6 სექტ (რადიო). ლეიპციგის ბაზრობაზე მყიდველების 99 პროცენტს წარმოადგენენ უცხოელები. გერმანიის ვაჭრები, ფასების წლაპრული ზრდის გამო, ვერ ბედავენ საქონლის შესყიდვას.

### შეერთდენ.

**ბორდო.** 6 სექტ. (რადიო). გერმანიის ორთავე სოციალისტურ პარტიების ცენტრალური კომიტეტები სავსებით შეთანხმდენ გაერთიანებულ პროგრამაში შეთანხმებულად მოქმედებისათვის.

### მანჩესტერ-ბერლინის საჰაერო ხაზი.

**ნაუენი.** 6 სექტ. (რადიო). იხილავენ საკითხს, მანჩესტერ-ბერლინის საჰაერო ურთიერთობის რეგულიარულად მოწყობის შესახებ. მანჩესტერ-ბერლინის შორის ფრენას მოუნდება 6 საათი.

## ინგლისი

### ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა.

**ნაუენი.** 6 სექტ. (რადიო). გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა გახსნის დროს გამოტანილია რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, ვერსალის ხელშეკრულების ევროპისთვის დამღუპველ გავლენაზე; მოთხოვნილია გადასინჯვა ვერსალის ხელშეკრულებისა. ამ ჟამად ინგლისის პროფკავშირებში ითვლება ხუთი მილიონი წევრი.

### ესეც განიარაღება!

**ბორდო.** 6 სექტ. (რადიო). „ტანი" იტყობინება, რომ ინგლისის საზღვაო სამინისტრო შეუდგა მორკშაირის აპეროდრომზე ნამდვილი საჰაერო ნაღმოსანის აშენებას ფლოტის დასახმარებლად. ამ მიზნით ნაღმოსანზე ეწყობა ნაღმები და პულემიოტები.

## პოლონეთი

**ნაუენი.** 6 სექტ. (რადიო). პოლონეთში ამ ჟამად ხმარებაშია 1,300 ბილიონამდე პოლონური მარკა.

## საფრანგეთი

### საჰაერო შეიარაღება.

**ბორდო.** 6 სექტ. (რადიო). გავრში მომხდარი ცდა ვეებერთელა ჰაეროპლანის გაფრენისა მშვენივრად ჩატარდა. სისწრაფე აღმოჩნდა 170 კილომეტრი საათში. მთელი აპარატი ლითონიდგან არის გაკეთებული. აპარატების ფრთები ფარავენ 230 კვ. მეტრს და იწონიან 600 ფუთს აპარატი მოძრაობს ოთხი მატორის საშუალებით; თითო მატორში 400 ცხენის ძალა.

## ამერიკა

### ნახშირის კონფერენცია.

**ნაუენი.** 6 სექ. (რადიო). მომავალ კვირაში გუვერის თავმჯდომარეობით გაიხსნება ნახშირის კონფერენცია ნახშირზე ფასის დასაწესებლად და ანტრაციტის განაწილების გეგმის შესადგენად.

### ბანკების კონფერენცია.

**ნაუენი.** 6 სექტ. (რადიო). ამერიკული პრესსა იუწყება, რომ ამერიკის მთავრობა აწარმოებს მოლაპარაკებას ევროპის ბანკებთან ბანკების ოპერაციის სტაბილიზაციისათვის მეთოდების აღმოსაჩენად.

პრეზიდენტ გარდინგის აზრით, ეს არის შესავალი საერთაშორისო ფინანსიური კონფერენციის მოსაწვევად.

**ჰანნოვერი.** 6 სექ. (რადიო). გარდინგის თაოსნობით, ამერიკის მთავრობამ გადადგა ნაბიჯები მაღალი ვალიუტის ქვეყნების საემისიო ბანკებთან მოლაპარაკებისათვის. მიზანი მოლაპარაკებისა—საერთო ვალიუტის სტაბილიზაცია.

### მსხვერპლები მაღაროებში.

**ჰანნოვერი.** 6 სექტ. (რადიო). კალიფორნიაში ჯეკსონის მაღაროებში მოემწყვდა 48 მუშა. ნიუიორკიდან იტყობინებიან, რომ შესძლეს მათთან კავშირის დაკავება და არის იმედი მათი გადარჩენისა.

## ირლანდიაში

**ბორდო.** 6 სექტ. (რადიო). სამხრეთ ირლანდიაში გრძელდება ბრძოლა აჯანყებულთა მთავრობის ჯარებთან. მუკრუმის მახლობლად ბრძოლა 8 ნახ. საათი გაგრძელდა.

## სხვა და სხვა ამბები

### ბრაზილიის დამოუკიდებლობის ასი წლის თავი

**ჰანოვერი.** 6 სექტემბერი (რადიო). ბრაზილიის დამოუკიდებლობის გამოცხადების ასი წლის დღესასწაულის დღეს ბერლინში ბრაზილიის საელჩოში მოხდა საზეიმო მიღება.

### ნანსენის გამგზავრება

**ნაუენი.** 6 სექტემბერი (რადიო). ერთა ლიგის მისია ნანსენის მეთაურობით ბერლინიდან გაემგზავრა ჟენევაში.

### გერმანია და პოლონეთი

**ნაუენი.** 6 სექტემბერი (რადიო). დრეზდენში, ვერსალის ხელშეკრულების 99 მუხლის თანახმად, დაიწყო პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება ეკონომიურ საკითხების შესახებ.

### საფრანგეთი და ბელგია

**ჰანნოვერი.** 6 სექტემბერი (რადიო). „მატენის" ბრიუსელის კორესპონდენტი იტყობინება, რომ საფრანგეთი შეუთანხმდა ბელგიას შემდეგი კონფერენციის ბრიუსელში მოწვევის შესახებ დეკემბრის დასაწყისში.

### ამერიკა და ევროპა.

**მოსკოვი.** 7 სექტემბერი გაზ. „მორნინგ პოსტი" იტყობინება, რომ ამერიკის მთავრობამ გააცხადა თანხმობა მიიღოს მონაწილეობა ევროპის ეკონომიურ და ფინანსიურ აღდგენის საქმეში.

— ამერიკის მთავრობა შეუდგა ნახევრად ოფიციალურ მოლაპარაკების წარმოებას ევროპის მსხვილ ბანკებთან ვალიუტის კურსის სტაბილიზაციისათვის ზომების მიღების შესახებ.

— გამოჩენილმა ამერიკის მოღვაწემ შვეციის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ამერიკა აძლევდა ევროპის ქვეყნებს სესხს არა იმისათვის, რომ ეს ფულები დახარჯული ყოფილიყო ახალი ომების საჭიროებისათვის. ამერიკა მოელოდა, რომ ევროპა დაუბრუნდებოდა მშვიდობიან მუშაობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ევროპა გამსჭვალულია საომარი აზრებით. სანამ არ მოისპობიან საფრანგეთის და სხვა „პუანკარეები", ამერიკა არ აღმოუჩენს ევროპას არავითარ დახმარებას.

### „ფადერლანდი"

**მოსკოვი.** 7 სექტემბერი. გერმანიის გემი „ფადერლანდი" ქვაბების გაფუჭების გამო, იძულებული იყო გაჩერებულიყო კონსტანტინოპოლში. გემზე აყვანილია ინგლისის დარაჯები და აღმართულია ბრიტანეთის ფლაგი, ვინაიდან გერმანიის გემებს აკრძალული აქვთ გაჩერდენ კონსტანტინოპოლში.

### ქაღალდის ფულები პოლონეთში.

**მოსკოვი.** 7 სექტემბერი. ქაღალდის ფულის რაოდენობა პოლონეთში უდრის 1300 მილიარდ პოლონეთის მარკას.

### შეთქმულება რუმინიაში.

**მოსკოვი.** 7 სექტემბერი. ბუქარესტში აღმოჩენილია შეთქმულება რუმინიის მეფის ოჯახობის წინააღმდეგ. დაპატიმრებულია რამდენიმე ჰუნგრეთის აფიცერი, რომელთაც აღიარეს, რომ მათ განზრახული ქონდათ აეფეთქებიათ მეფის და დიპლომარიური წარმომადგენლების ტრიბუნა რუმინიის მეფის მომავალი კორონაციის დროს.

# ამიერ კავკასიის ფედერაციაში

## საქართველო

### ბათუმი

**საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.** რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბათომის განყოფილების მოღვაწეობა უმთავრესად გამოიხატა განყოფილების რეორგანიზაციაში, თანახმად სრულიად რუსეთის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისართა უკანასკნელ თათბირზე მიღებულ პრინციპებისა. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ევალება ყოველი სახის საგარეო ვაჭრობის მოწესრიგება, რომელსაც აწარმოებს სხვა და სხვა მისდამი პარალელური ორგანოები.

ახალ ამოცანების მიხედვით, რომელიც უნდა განახორციელოს ბათომის განყოფილებამ, დაწყებულია საბჭოთა რუსეთის ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ბათომის განყოფილების ორგანიზაცია. სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების ფუნქციები პარალელურია საერთოდ ადგილობრივ ცეკავშირის კანტორის მოღვაწეობასთან. ამ ჟამად სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილება თითქმის მოწყობილია და იწყებს მუშაობას. სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების მომწყობი იყო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და სახელმწიფო ვაჭრობის ამიერ-კავკასიის განყოფილების რწმუნებული თბილისში ამხ. კოლომოიცევი, სახელმწიფო ვაჭრობის განყოფილების დროებით ხელმძღვანელად ითვლება ამხ. ჩემბერქი.

## აზერბეიჯანი

### ფაბრიკა-ქარხნის რაიონში.

ფაბრიკა-ქარხნის რაიონის რაიკომის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა სახალხო განათლების განყოფილების მოხსენება მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისის გამო. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა ამ რაიონში სახალხო განათლების საქმე იძლევა ძლიერ ცუდ სურათს. თითქმის ყველა 16 სკოლა მოთავსებულია უვარგის შენობაში, სკოლის ქონებას იტაცებენ. მასწავლებლების შემადგენლობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

წერა-კითხვის უცოდინართა სკოლების საქმე ვერ იძლევა იმედებს. არ სწარმოებს მუშაობა კლუბების მოსაწყობად. მიღებულია სასწრაფო ზომები სწავლების საქმის აღსადგენად. ალაგ-ალაგ სწარმოებს შენობების შეკეთება. წესრიგში მოჰყავთ წერა-კითხვის უცოდინართა ლიკვიდაციის სკოლები.

განზრახულია კულტურის მუშაკთა შტატის გაფართოება. მიღებულ რეზოლიუციაში დადგენილია სკოლების შენობების შეკეთება იქნას აღიარებული სასწრაფო ამოცანად და აღიძრას შუამდგომლობა „აზნეფტის" კომუნალურ განყოფილების წინაშე, რათა 15 სექტემბრისათვის დამთავრებულ იქნას შენობების შეკეთება. მუშათა რაიონის ბავშვები უნდა მოათავსონ შესაფერ სკოლებში.

გასაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თურქულ სკოლებს, რომლებიც დღემდე ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ.

### ბაქოს ბაზრობა.

ბაზრობისთვის დაკავებულია ბაქოს ახალი საბაჟოს შენობები, რომლებიც მოთავსებული არიან ზღვის განაპირა მხარეზე. ჩორნი გოროდის საზღვარზე საბაჟო წარმოადგენს ორ ქვის კორპუსს, სადაც მოიპოვება მთელი რიგი დახურულ შენობებისა, საწყობები ეზოში ერთ კორპუსში, რომელიც იყოფა არკით რამოდენიმე ნაწილებად, აზიურ კორპუსის საწყობები ადვილად შეიძლება გადაკეთდეს ცალცალკე დახურულ შენობებად. ბაზრობის მახლობლად მოიპოვება ორი ნავთსადგური უცხოეთიდან შემოტანილ ტვირთისათვის და აგრეთვე ექსპორტისათვისაც. ნავთსადგურიდან ბაზრობამდე გაყვანილია ლიანდაგი ცხენებით მოძრაობისათვის. თვით საბაჟოში აზიურ და ევროპიულ კორპუსების შორის გაყვანილია რკინის გზის ხაზი, პირუტყვების გადმოსატვირთავ პლატფორმით. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განკარგულებით ბაზრობაზე ეწყობა დასატვირთ გადმოსატვირთი. სადგური მოსამსახურეთა სრული შტატით. მგზავრების მოძრაობისათვის ეწყობა სპეციალური რეისები.

საწვრიმალო ვაჭრობისათვის მახლობელ მოედანზე ეწყობა 300 ბალაგანი.

## სომხეთი

**სასკოლო კამპანია.** სკოლასა და საზოგადოების, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციების შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლად სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მიმართოს თხოვნით სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მოეწყოს ამ უკანასკნელთან სპეციალური კომისია სასკოლო კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

**წისქვილის გადასახადი.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა მიანდოს წისქვილის გადასახადის აკრეფა კომუნალურ მეურნეობის განყოფილებას. ამ გადასახადის 50 პროც. მოხმარდება მილიციის ცხოვრების გაუმჯობესობის საქმეს.

**კერძო სკოლები.** სამაზრო სახალხო განათლების განყოფილებათა წარმომადგენლობის ყრილობის გამოთქმულ სურვილის თანახმად, სახალხო განათლების კომისარიატმა დაადგინა არ დართოს ნება კერძო სკოლების გასახსნელად.

**სომხები სოხუმში.** სოხუმიდან ალექსანდროპოლში დაბრუნებულმა აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შახგელდიანმა განუცხადა „არმენტის" თანამშრომელს, რომ სოხუმის რაიონში იმყოფება 40000 სომეხი, რომელნიც გადასახლებულნი არიან ტრაპიზონიდან და რომელნიც ეწევიან მეთამბაქოობას.

ამ კალონიამ გამოსთქვა სურვილი გადასახლდეს სომხეთში, იმ პირობით თუ მას მიეცემა მიწა თამბაქოს კულტური'ს გასაშენებლად.

**სასოფლო სამეურ[illegible]** მიწათ-მოქმედების სახ. კომისარმა მოახდინა განკარგულება გამოარკვიოს სასოფლო მეურნეობის მანქანების იარაღების რაოდენობა და აგრეთვე მაზრების საჭიროება ამ იარაღებში, რის გამოც, გაიგზავნა მაზრებში აგრონომი მეგრაბიანი და მარკარიანი ცნობების შეკრების შემდეგ მოწვეულ იქნება სასოფლო მეურნეობის თათბირი მცხოვრებთათვის ინვენტარით დახმარების საკითხის გადასაწყვეტად.

**ბამბის მოსავალი.** ერევნის და ეჩმიაძინის მაზრებში ბამბის მოსავალი კარგია. მიწათმოქმედების კომისარიატი გზავნის სპეციალურ კომისიას იმ პირთა ნათესების მოსავალის ხარისხის გამოსარკვევად, რომელთაც მთავრობისაგან მიიღეს სუბსიდია.

**სასკოლო საქმე.** ეკონომიურმა თათბირმა გადასწყვიტა სექტემბრის და ოქტომბრის განმავლობაში გადასცეს 80 მილიონი მან. სომხეთის ფულის ნიშნებით, სასკოლო შენობების აღსადგენად და სასწავლო ნივთების შესაძენად. სამაზრო შკოლების შენობათა რემონტი მოხდება ადგილობრივი საშუალებებით.

# ქრონიკა

✦ **დადგენილების პროექტი.** იუსტიციის სახალხო კომისარმა წარადგინა კომისართა საბჭოში პროექტი დადგენილებისა მუშათა და მოსამსახურეთა დაპატიმრების წესის შესახებ. მოსამსახურე პირთ, რომელთა მოვალეობაში შედის დაპატიმრება მუშის, ან რკინის გზაზე, ან სხვა სახელმწიფო და საქალაქო დაწესებულებაში მოსამსახურეს, ოცდა ოთხი საათის განმავლობაში უნდა აცნობოს ამის შესახებ დაპატიმრებულის პირდაპირ უფროს.

✦ **ბებუთოვის აბანო.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით გადავიდა კომუნალური განყოფილების განკარგულებაში, ხოლო წითელარმიელებს ნება ეძლევა ისარგებლონ აბანოებით უფასოდ მორიგეობით.

✦ **თბილისის მაზრის მილიციის გაწმენდა.** მაზრის პარტკომის და აღმასკომის მიერ არჩეულმა მილიციის გამწმენდმა კომისიამ უკვე დაასრულა მუშაობა და არა სასურველი ელემენტები სამსახურიდან დაითხოვა. ამ რიგად მთელ მაზრის მილიციიდან იქნა დათხოვნილი 40 პროც. თანამშრომელი.

✦ **ომში დაჭრილ-დასახიჩრებულ მეომართა კავშირის გამგეობამ** შრომის სახალხო კომისარიატს წარუდგინა—დაჭრილ-დასახიჩრებულთა და დაავადმყოფებულთა უზრუნველყოფის შესახებ დადგენილების პროექტი განსახილველად და სახ. კომისართა საბჭოში წარსადგენად. პროექტის მიხედვით ყველა ომის ინვალიდს, როგორც ქალაქში, ისე აგრეთვე სოფელში მცხოვრებს, უკეთუ მას დაკარგული შრომის უნარი 40 პროცენტზე მეტი აღმოაჩნდება, უნდა მიეცეს სახელმწიფოსაგან მინიმუმი უზრუნველყოფისა.

✦ **წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია,** რომელიც დღემდის მოთავსებული იყო რუსთაველის პრ. № 9, „ორიანტის" სასტუმროს ქვეშ, გადატანილია ისევ ძველ ბინაზე სასახლის ქ. № 5 შესასვლელი ეზოდან.

მაღაზია ღიაა დილის 9 ს.—3 საათამდე. იყიდება როგორც სახელმძღვანელო, სახალხო საკითხავი და სამეცნიერო წიგნები, ისე საკანცელარიო ნივთები—რვეულები, საწერი ქაღალდი და სხვ.

✦ **სიბირის ხეხის საწინააღმდეგო აცრა.** როგორც მიწად მოქმედე-

# სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაცია

(დასასრული *)

მე უკვე აღვნიშნე, რომ გაერთიანებულ აპარატის შესაქმნელად არა გვაქვს საშუალებანი. და სწორედ ამიტომ ცალკე კომისარიატებს, წინასწარ შემუშავებული გეგმით, რომელიც დამტკიცებულია ამა თუ იმ რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოს მიერ, უხდებათ თანამშრომლობა გლეხ-მწარმოებლებთან. ეს გეგმა შეიძლება განხორციელებულ იქნეს იმ შემთხვევაში თუ გლეხების მხრივ იქნება ნდობა იმ ორგანიზაციისადმი, რომელიც იწყებს საქმეს. სასურსათო სახ. კომისარიატი ახერხებს, მაგალითად, გლეხებისაგან აბრეშუმის პარკის ნისიად აღებას. პარკის ყიდვის დროს მეაბრეშუმეებს ეძლევათ ავანსი, ხოლო ანგარიშის გასწორება ხდება რეალიზაციის შემდეგ.

ამგვარივე წესით სწარმოებს მატყლის დამზადება. ორი წლის პრაქტიკამ დაგვანახვა ჩვენ, რომ ამ საშუალებით ბევრის გაკეთება შეიძლება.

დამზადების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად, იმ კომისარიატს, რომელიც ამზადებს ნედლ მასალას, სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებს და სხვ. მოუხდება სახალხო კომისართა საბჭოს საშუალებით გამოაცხადოს მონოპოლია ამა თუ იმ საქონელზე. მონოპოლიის უფლებაზე უარისთქმა—ნიშნავს განზრახ დამზადების საქმის ჩაშლას. მაგრამ მონოპოლია უნდა გამოცხადდეს სასოფლო-მეურნეობის იმ პროდუქტებზე, რომლის შესაძენად არის ფონდი მწარმოებელთათვის ავანსების დასარიგებლად. უამისოდ ამ საქონელზე გამოცხადებული მონოპოლია შედეგს ვერ მიაღწევს და მოისპობა ამ ნაწარმოების კულტურა. პროდუქტების რეალიზაციაზე დამოკიდებულია მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარება.

როგორც ვიცით, მენშევიკების ბატონობის დროს ჩვენი პროდუქტები რუსეთში არ გადიოდა. ამან გამოიწვია სამეგრელოში დაფნის ფოთოლის კულტურის მოსპობა.

ადგილობრივ წარმოების პროდუქტების რეალიზაციის საკითხი არის მტკივნეული საკითხი ჩვენი გლეხობისათვის. პროლეტარულ ხელისუფლებამ ამ საკითხს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი წარმოების უმთავრესი პროდუქტები ჩაუვარდებათ ხელში ჩვენ ეკონომიურ მტრებს. და მაშინ სოფლის მეურნეები ძალაუნებურად მიიღებენ გასამრჯელოთ მრეწველობის პროდუქტებს სახელმწიფოს ჩაურევლად. კერძო კაპიტალი, როგორც ვიცით, ემსახურება მხოლოდ-და მხოლოდ სარგებლიანობას და არა გაცვლა გამოცვლის გეგმა შეწონილ ორგანიზაციის მიზანს. ეს გარემოება, თავისუფალი კონკურენციის პირობებში ხელს შეუწყობს თავის მხრივ საქართველოს ბაზრის საზღვარ გარეთთან შემოტანილ საქონლით აღვსებას რუსეთის მრეწველობის პროდუქტების ხარჯზე. არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის, რომ საზღვარ გარეთის მანუფაქტურა კონკურენციას უწევს რუსეთისას ამიერ კავკასიის ბაზარზე.

იმ შემთხვევაში თუ სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაციის საქმე არ იქნა გამოგლეჯილი ჩარჩების ხელიდან, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის მთელი საქმე ჩაიფუშება, ვინაიდან არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამეურნეო ორგანოები არ აწარმოებენ ვაჭრობას ასე თუ ისე მტკიცე ფულის ნიშნების საშუალებით. აქედან ცხადია, რამდენად რთულია ეს ამოცანა. აქ ჩვენ არ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ცალიერი ლაპარაკით იმის შესახებ, რომ გავხსნათ ორი-სამი მაღაზია და თავი ვიმტვრიოთ სამეურნეო ორგანოებს შორის კონკურენციის მოსპობა, ჩვენს შორის კონკურენციის მოსპობა არც ისე ძნელია, ოღონდ იყოს საკონკურენციო საქმე. ამისათვის საკმარისია მოეწყოს დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანიზაციების თათბირი, რომელიც გამოიმუშავებს ყველასათვის საერთო კალკულიაციას და ამით გათავდება საქმე.

ამას ამ ჟამადაც აქვს ადგილი.

თუ სამეურნეო ორგანოები ამას არ მოისურვებენ სულ ადვილად შეიძლება მოვუწოდოთ ისინი წესრიგისაკენ ეკონომიურ საბჭოს საშუალებით.

სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის საკითხი რთულდება არა კონკურენციის ფაქტით, რომლის თავიდან აცილება არც ისე ძნელი საქმეა, არამედ იმით, რომ ამ ვაჭრობის ორგანიზაციის დროს ჩვენ საქმე გვაქვს უფრო რთულ ამოცანასთან—ეს არის სასოფლო მეურნეობის აღდგენის საჭიროება. ამის გარეშე ზედმეტია ფიქრი ქალაქის მრეწველობის აღდგენაზე, აგრეთვე არაფრის განაწილებაც არ შეიძლება, ვინაიდან არ იქნება პროდუქცია.

აი ასე და მხოლოდ ასე სდგას საკითხი. სასოფლო მეურნეობის აღდგენა წარმოუდგენელია ისე, თუ არ იქნა გადაწყვეტილი ადგილობრივ წარმოების პროდუქტების რეალიზაციის საკითხი სახელმწიფო მაშტაბში.

სამწუხაროთ, როგორც მე უკვე აღვნიშნე, ჩვენ არა გვაქვს საშუალებანი ფართოდ დავაყენოთ, როგორც დამზადების ისე რეალიზაციის საქმე.

მაგრამ, რა თქმა უნდა, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები. ერთ ერთ ღონისძიებათ მე მიმაჩნია მონოპოლია. იგი (მონოპოლია) აძლევს სახელმწიფოს საშუალებას მიაჩვიოს გლეხები თანამშრომლობას და ამასთან ერთად ჩარჩებს ართმევს უფლებას მთლად გაძარცვონ წვრილი მწარმოებლები. თუ კი იქნება სათანადო ფონდი ავანსების დასარიგებლად, გლეხებს შეუძლიათ დაგვაცალონ სრული ანგარიშის გასწორება რეალიზაციამდე.

მონოპოლიას დღევანდელ პირობებში აქვს სხვა დადებითი მხარეც. ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ჩვეულებრივად სცდილობენ ჩაშალონ სახელმწიფოს ყველა ღონისძიებანი. თუ კი არ იქნება გამოცხადებული მონოპოლია და თუ ჩარჩები თავის ნებაზე ითარეშებენ, რა თქმა უნდა მათთვის უფრო ადვილი იქნება საბჭოთა ხელისუფლების გეგმის ჩაფუშვა სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციის საქმეში.

შარშან აშკარად სთესავდენ შუღლს იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც გამოუცხადა მცხოვრეათ, რომ მეაბრეშუმეობის პროდუქტები უნდა გადაეცეს სახელმწიფოს.

მიმდინარე წელს ჩვენ მოვახერხეთ ორჯერ მეტი პარკის მოგროვება, ვიდრე ეს მოახერხა თავის დროზე მენშევიკურმა მთავრობამ, რომ არ ყოფილიყო გამოცხადებული მონოპოლია, ეს რა თქმა უნდა არ მოხერხდებოდა.

ჩვენ სამეურნეო კომისარიატებში მრავალი სპეცებია, რომელნიც, ბევრ ჩვენ ამხანაგებს თავზე ახვევენ ძველ ბურჟუაზიულ იდეებს, სწორედ ისინი არიან, რომლებიც მოსთქვამენ მონოპოლიის გამოცხადების წინააღმდეგ. ძირს მონოპოლია, გაუმარჯოს თავისუფალ კონკურენციას—აი ლოზუნგი, რომელიც წამოაყენეს იმათ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ისინი სთვლიან უკანდახევათ წარმოების და განაწილების ძველი კაპიტალისტურ საშუალებისაკენ. და მე მგონია, რომ ის ვინც გაიძახის, რომ სასურსათო სახ. კომისარიატი მონოპოლისტიაო, ვაჭარია ის თუ მწარმოებელი, იმყოფება ამ ბატონების გავლენის ქვეშ.

არავის არასოდეს არ უთქვამს, რომ სამხედრო კომუნიზმი, როგორც ერთი უკიდურესობა—იცვლება ბურჟუაზიული წესებით, ე. ი. მეორე უკიდურესობით. არავის, არასოდეს და არსად არ დაუმტკიცებია, რომ აუცილებელია ეკონომიურ ცხოვრებაში აბსოლიუტური არ ჩარევის პრინციპი იქნას დაცული ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარების დროს.

ამაზე ხმამაღლა უნდა განვაცხადოთ, ამაზე უნდა მივუთითოთ ყველას, ვინაიდან ბევრს აშინებს სწორედ ეს საკითხი, მოსკოვში, მაგალითად აკრძალულია თავისუფალი ვაჭრობა ღვინით. აკრძალულია როსტოვის რაიონიდან სასურსათო პროდუქტების გატანა ამიერ კავკასიის საზღვრებში. რუსეთში ზოგიერთი ბაზრები დახურულია სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს და სხვა.

ის, რასაც ჩვენ გვირჩევენ ამ სფეროში ჩვენთვის დამღუპველია. ჩარევის პოლიტიკის უარყოფა ძალიან განავითარებს სპეკულიაციას. პირდაპირ გაუგებარია, როგორ ათავსებენ ჩვენი ამხანაგები ვაჭრობის აბსოლუტურ თავისუფლებას „გათავხედებულ კერძო კაპიტალის" წინააღმდეგ ბრძოლასთან იმ დროს, როდესაც სახელმწიფოს არ აქვს საჭირო საშუალებანი. ცხადია, აქ დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი, რომლის თავიდან აცილებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა შეგნებულმა კომუნისტებმა.

სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზატორს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს იმ აპარატის მოგვარებას, რომელმაც უნდა მოახდინოს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია, ყიდვის უნარიანობის აწევის მიზნით.

ამ მიზნისათვის არ უნდა გაურბოდეთ მონოპოლიას, აკრძალვას და სხვ. ასეთ ზომებს, თუ კი ეს აუცილებელია.

ვინ უნდა აწარმოვოს ეს საქმე? რა თქმა უნდა არა საკავშირო საბჭოსთან დაარსებულმა კომისიამ. ასეთი კომისიის შედგენის წინააღმდეგ არ შეიძლება გალაშქრება. მაგრამ თუ თვითეულ რესპუბლიკაში არ იქნება სათანადო სამუშაო აპარატი ამ კომისიის მოღვაწეობა ცალიერ სურვილებს არ გასცილდება. კომისია ილაპარაკებს, ხოლო ჩარჩები გააკეთებენ საქმეს. ჩვენ ლაპარაკი კი არ გვაინტერესებს, არამედ ცოცხალი საქმე. საქმის გაკეთება კი შეუძლია იმ სამეურნეო კომისარიატებს, რომელნიც გაერთიანებულნი არიან თვითეულ რესპუბლიკის ეკონომიურ საბჭოებში. ამ კომისარიატებით უნდა ვისარგებლოთ და მათი საშუალებით გავატაროთ ყველა ღონისძიებანი. ყოველი სხვა გეგმა გულისხმობს არსებული აპარატის მოშლას იმ აპარატის ხარჯზე, რომელიც არც არის და არც იქნება ახლო მომავალში.

ახალი აპარატის მოწყობა ვინაიდან, როგორც ვიცით, უფრო ადვილია დანგრევა, ვიდრე აშენება. გარდა ამისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი აპარატის შექმნა პროდუქტების რეალიზაციის, მრეწველობის ორგანიზაციის და ნაწარმოების განაწილების მოსაგვარებლად ამიერ-კავკასიის მაშტაბში ყოვლად შეუძლებელია. ეს იქნება არა ორგანიზაცია, არამედ იმ სპეცების ხროვა, რომელნიც ფიქრობენ თავის ჯიბეზე. ჩვენ ვიცით თუ რას წარმოადგენენ სპეცები კომერციის დარგში. ისინი ხომ ექიმები და ინჟენრები არ არიან. ასეთ აპარატს არ ექნება ნდობა, რაც ესოდენ საჭიროა თანამშრომლებისათვის (სწორედ თანამშრომლობის და არა ვაჭრობისათვის) მშრომელ გლეხობასთან.

ამიტომაც აუცილებელია სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაცია რესპუბლიკის მაშტაბში. ხოლო რესპუბლიკებში ამ მიზნისათვის სულ ადვილად შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკონომიური საბჭოები. სწორედ ეს საბჭოები უნდა იქნან აღიარებულნი ცენტრალურ დაწესებულებათ, რომელიც გაატარებს ცხოვრებაში დავალებას ეკონომიურ კომისარიატების საშუალებით.

ვინ უნდა განახორციელოს პრაქტიკულად ვაჭრობის საქმე, სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ, სასურსათო სახ. კომისარიატმა თუ ორივემ ერთად—? ეს პრაქტიკის საქმეა და ბოლოს და ბოლოს ეს ხომ დეტალია და სხვა არაფერი.

საჭიროა მხოლოდ მივუთითოთ, რომ არსებული აპარატის მოშლა, რომელიც კომერციულ მიზნებისათვისაც არის მოხერხებული უდრის საბჭოთა ხელისუფლების ძირის გათხრას.

იმის შემდეგ, როცა ცალკე კომისარიატები განავითარებენ თავის კომერციულ ოპერაციებს, **თავის თავად დაისმება საკითხი უფრო ძლიერი ორგანიზაციის შექმნის შესახებ,** რომელსაც შეეძლება ამიერ-კავკასიის ყველა რაიონების გაძღოლა.

მაგრამ ამაზე შეიძლება ვილაპარაკოთ მომავალში, ჩვენ მიერ სათანადო ცოდნისა და გამოცდილების შეძენის შემდეგ. ნათქვამია: ყველაფერი ხომ ოქრო არ არის რაც „ბრჭყვიალებსო" ყოველგვარი გაერთიანება, ყოველნაირ პირობებში ხომ სასარგებლო არ არის ცოცხალი საქმისათვის. დღეს საერთოთ მოდაში შემოვიდა ვილაპარაკოთ ყოველგვარ გაერთიანების სარგებლიანობის შესახებ და არ გავითვალისწინოთ ამ გაერთიანების შედეგები. ამა თუ იმ რესპუბლიკის სამეურნეო კომისარიატი აცხადებს მონოპოლიას ვთქვათ, მატყლზე, საგარეო ვაჭრობის კომისარიატი არ ემორჩილება ამას, ვინაიდან ეს ორგანიზაცია გაერთიანებულია და არ კმაყოფილდება რა იმით, რომ ერთი ორგანიზაცია მშვენივრად ასრულებს თავის ამოცანას, დამოუკიდებლად აწარმოებს დამზადებას, რასაც შედეგად მოჰყვება მონოპოლიის ჩაშლა. როგორც ცალკე რესპუბლიკის სამეურნეო კომისარიატს არ შეუძლია ჩაერიოს საგარეო ვაჭრობის საქმეში, ასევე საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოღვაწეობაც თვითეულ რესპუბლიკის შიგნივე უნდა იყოს ჩაყენებული განსაკუთრებულ ჩარჩოებში. უამისოდ ხდება ყოვლად დაუშვებელი შეჯიბრება, რომლითაც მხოლოდ ჩარჩები სარგებლობენ.

სამწუხაროდ ასეთ კონკურენციის წინააღმდეგ არავინ არ ილაშქრებს, ლაპარაკობენ მხოლოდ სასურსათო სახ. კომისარიატის შესახებ, რომელიც რაღაც მიზეზის გამო ყველას თვალში ეჩხირება.

ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია სახელმწიფო ვაჭრობის მოგვარება. სხვა საქმეა შერეულ საზოგადოებათა დაარსება იმ საქონლის დასამზადებლად, რომელიც ამ საზოგადოებათა გარეშე ჩაუვარდება ხელში კერძო პირებს. მაგრამ აქაც თვითეულ ცალკე შემთხვევაში ყოველი გამოსვლა უნდა იქნეს შეთანხმებული არსებულ აპარატის მოქმედებასთან. სხვა პირობებში ადგილი ექნება უთანხმოებას და ანარქიას. იმისათვის კი რომ ადგილი არ ექნეს ანარქიას და კონკურენციას, საჭიროა საკავშირო საბჭოსთან მოეწყოს, თუ გნებავთ, ორგანო, რომელიც თვალყურს უნდა ადევნებდეს ეკონომიურ საბჭოების მოქმედებას ცალკე რესპუბლიკებში, ათანხმებდეს მათ მუშაობას, რათა თავიდან იქნეს აშორებული არა სასურველი კონკურენცია.

ასეთი ორგანოს როლს შეასრულებს ეკონომიური საბჭო, რომელიც უნდა მოეწყოს ამიერ-კავკასის მაშტაბით.

ა. ერქომაიშვილი.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 204.

ს. ს. ს. რ. ფინანსთა კომისარიატის
დიდი ლატარია
საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ
პირველი მოგება . . . . . . . . 500 მილიონი
მეორე „ . . . . . . . . 100 „
მესამე „ . . . . . . . . 50 „ ⁊ სხ.
ქართული ბონებით
ბილეთი ღირს მხოლოდ 100.000 მან.
კუპონი „ „ 25 000 „
— ხედრ მოგების მიღება 48 საათში. —
გათამაშება მოხდება თბილისში დეკემბრის 10 ს ა. წ.
მოგებათა დასაფარავად გადადებულია 1.200.000.000 მან. საქ. ბონებით.
კრ. 149—0—4)
ბილეთების შეძენა შეიძლება: ყველა ბანკებში, კავშირებში, კლუბებში, ყველა საკრედიტო, კოოპერატიულ და სხვა დაწესებულებებში.
ლატარიის მომწყობი კომისია.

## ქალაქ ტფილისის საბჭოს
## ველა წევრებს.

ქის საბჭოს პლენუმის ამა წლის ვისტოს დადგენილების თანახმად, ქის საბჭოს ყველა წევრები ვალდე- ი არიან ჩაეწერონ აღმასკომის

ერთ-ერთ

## სექციაში

მიტომ აღმასკომის სამდივნო გან- ებით სთხოვს საბჭოს წევრებს ჩაე- ნ საბჭოს სამდივნოში ყოველ დღე ს 10—3 საათამდე, გარდა კვირა უქმეებისა.

რა სწარმოებს 10 სექტემბრამდე.

საბჭოს მდივანი **გ. ხუნდაძე.**

2—1

არიატის ცნობიდან ჩანს დგნენ პირუტყვთა აცრის ციის მოწყობას სიბირის ინააღმდეგოდ.

ან საქართველოში პირვე- ი აცრა, მიწად-მოქმედების ატმა დაუგზავნა ცირკულია- ანკარგულება სამაზრო სამი- ოგანყოფილებებს ⁊ პირუტ- ემს გასწიონ ფართე პრო- აუცილებლობაზე და აშიშროება სიბირის სენისა. ელად და ინსტრუქტორებად ორი ბეითალი ერთი აღ- საქართველოში, მეორე ში.

**მანიის მრეწველობის მდგო-** ამიერ-კავკასიის საბჭოთა კების გარეშე ვაჭრობის კო- ს მიერ მიღებულია საინტე- ბები გერმანიის მრეწველო- მარეობის შესახებ უკანასკ- ში. კატასტროფიული და- ის კურსისა სასტიკად მოქ- გერმანიის მრეწველობაზე. ებით ეს ემჩნევა საფეიქრო ბას, რადგანაც მარკის კურ- მის მომენტიდან საჭირო არებელი ფულის ნიშნები და ბამბის შესაძენად. და- იქრო მრეწველობისა იმ- დია, რომ მოსალოდნელია ბრიკების შეჩერება.

ემჩნევა მანქანების დამამ- მრეწველობას, მაგრამ მთა- ად ჩაითვლება კვალიფი- ეების უყოლობა; აგრეთვე ა დაკვეთების შემცირება ბიდან, სადაც ვალიუტის ალია გერმანიის ვალიუტის თუმცა ამასთან ერთად რავლდება უფრო დაბალ ქვეყნებისაგან.

ოტექნიკურ მრეწველობა- ძველი დაკვეთებია შეუს- ა და ფაბრიკები არ იღე- დაკვეთებს, მათი დროზე ს შეუძლებლობის გამო. ზრდამ იქონია გავლენა მ წარმოებებზე, რომელნიც ტანთსაცმელს, და მათზე ლება შემცირდა. ების რაოდენობა მხოლოდ როდუქტებზე გამრავლდება, წარმოება ძალიან დიდია უკანასკნელ დროს.

**თურის სამთო კომიტეტის** ვირას 10 სექტემბ., ჭიათუ- ქვის სამრეწველო რაიონის ე მიემგზავრება ტეხნიკური სამთო-მადნო ინჟენერების ტროიცკის, ცეიტლინის და მადგენლობით, რომელსაც აატაროს ცხოვრებაში სა- ს სახალხო კომისართა საბ- ამა წლის 20 ივლისს დამ- ი „განსაკუთრებული დე- ჭიათურის რაიონის შავი ოების და ქარხნების შემ- ლოატაციის პირობების შესახებ. კომისიის ამოცანებში შედის მაღაროების, მათი მოწყობილების წარმოების ნაყოფიერების და ყოველ მხრივი დათვალიერება, რის ძალითაც მოხდება მადანის რაიონების განაწილება, და აგრეთვე მათი კატეგორიებისა და მარაგის გამორკვევა, რათა გათვალისწინებული იქნეს საშუალო საიჯარო გადასახადი მთავრობის სასარგებლოდ.

ამოცანის სირთულის გამო, კომისიის მუშაობა დიდი ხნით გაგრძელდება.

ამ სამუშაოსათვის გამოყენებული იქნებიან ადგილობრივი სამთო-მადნო ზედამხედველები და შავი ქვის მწარმოებლების ყრილობის წარმომადგენლები.

სამთო კომიტეტის თავმჯდომარე ინჟ. წულუკიძე ეხლა ხან დაბრუნდა ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა ყრილობიდან, სადაც ის თავმჯდომარეობდა და ცოტა დაგვიანებით მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში.

◆ **მუშა ძალის მოძრაობა.** 4 სექტემბერს თბილისის შრომის ბირჟაში აღნუსხულია 640 უმუშევართა გამოცხადება, მათ შორის 270 მამა-კაცია და 370 ქალი. ხელახლა აღნუსხულია 110 უმუშევართა გამოცხადება, მათ შორის 79 მამა-კაცია და 31 ქალი. მოთხოვნილება მუშა ხელზე შემოვიდა 26, მათ შორის მამა-კაცებზე 23 და ქალებზე—3, ხოლო სამუშაოზე გაიგზავნა 28 უმუშევარი, მათ რიცხვში 24 მამა-კაცი და 4 ქალი.

◆ **შრომის გადასახადის ფულით შეცვლის გადახდაზე უარის თქმის გამო.** შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელმა კომისიამ აღნიშნულ გადასახადის ფულის შეცვლით გადასახადზე უარის თქმისათვის დაადგინა დაპატიმრებულ იქნას შემდეგი პირები, რომლებიც წარმოადგენენ ვაჭრებს: მე 12-ე კომისარიატში ა. მელაძე და მაშადი აბას ოღლი კასუმოვი, მე-11-ე კომისარიატში მალაღურაძე და კერესელიძე, მე-8-ე კომისარიატში მ. აკოპიანი, ა. ამირბეგოვი და მუკაროვი. მე 7 ე კომისარიატში ეგან კაზაროვი და გრიგ. მებურნატოვი და მე 6 კომისარიატში ძმ. მარტიროსის, გრიქურა და ნაზარა აუდიანცები, ძმ. არმენაკის, მაიკო და არტაშეს მნაცაკანოვები და ტატეოს მარკოზოვი,

◆ **შეკეთება საოპერაციო და მადარაზიდ შენობათა** შესაკეთებლად ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საფინანსო განყოფილებას გაიყოს ყოველ დღიურად 5 მილიონი მანეთი.

◆ **მიწის რეფორმა.** თბილ. მაზრაში აგრარული რეფორმის გატარება დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და ამ მოკლე მომავალში დასრულებული იქნება.

◆ **გზის გაყვანა.** თბ. მაზრის აღმასკომი შეუდგა თბილის-წყნეთის თეთრი დუქანის გზის გაყვანას. სოფ. ცხნეთი მიუხედავად იმისა, რომ 9 ვერსის მანძილზეა დაშორებული თბილისიდან უგზოობის გამო ფაქტიურად მოწყვეტილია ცენტრს. ამ გზას ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს. სოფლელები ალტაცებით გამოდიან სამუშავოთ. სხვათა შორის ეს გზა შეამოკლებს 14 ვერსით მანგლისის გზას. იმედია ეს გზა მალე იქნება გაყვანილი.

◆ **მოსავალი.** მთელ მაზრაში კარგი მოსავალია, მხოლოდ სოფ. დელისში კოხმა გაანადგურა მთელი ბაღები. საჭიროა დახმარება,

◆ **სახურსათო გადასახადის მოგროვება** მაზრაში ჩინებულად მიმდინარეობს. არის რაიონები, სადაც უკვე 100 პროც. მოგროვებულია.

◆ **ბრძანება** ქ. თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატის მიმართ. 6 სექტემბერი 1922 წელი. ვინაიდან ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატთან არსებულნი საყოველთაო სამხედრო სწავლების ზოგიერთი ნაწილები გაუქმდა და გადაეცა სხვა ორგანოებს, როგორც მაგალითად „შევარდენი“ „სკაუტი“, ველო მოტორისტების რაზმი ფუტბოლისტები და სხვა გარდა სამხედრო სკოლებისა, ამისათვის აღნიშნულ ნაწილების თანამშრომელთა გაცემული მოწმობები როგორც პირადობის, ისე სანიტარულ გადასახადის და სხვა მიცემული ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატიდან გამოცხადებულია გაუქმებულად და ძალაში არ შედის ამ ბრძანების გამოცემის დღიდან. ასეთებს ევალებათ წარმოადგინონ კომისარიატში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

სამხედრო კომისარი **კოხიძე.**

კომისრის თანაშემწე **მიქაბერიძე.**

◆ **დაიკარგა მოწმობა** პოლიგრაფიული განყ. მე-2 სტამბიდან მიცემული ალექსანდრე ზაქარიას ძე გაბრიელოვზე № 615, რაც გაუქმებულათ ითვლება.

# პარტიული ცხოვრება.—

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი იძლევა წინადადებას

## მრთიან პარტიულ დღეს

8 სექტემბერს დასმული იქნეს დღის წესრიგში საკითხი: 1) პარტიულ კონფერენციის შედეგების შესახებ, 2) პარტიის წესდება. ამ საკითხების გასაშუქებლად უნდა ისარგებლონ შემდეგი მასალით:

1) რეზოლიუცია ანტისაბჭოთა პარტიების და წვრილ ბურჟუაზიული იდეოლოგიის საკითხის შესახებ, „პრავდა“ № 178 10 აგვისტო 1922 წ.

2) კოოპერაციის შესახებ—„პრავდა“ № 177, 9 აგვისტო, იგივე გაზ. „კომუნისტ“-ის 188 №-ში.

3) პროფესიონალურ მუშაობის შესახებ გაზ. „პრავდა“ № 175, 6 აგვისტოს 22 წ.

4) კოგანოვიჩის წერილები გაზ. „პრავდაში“ № 183 და 184, 16 აგვისტო და 18 აგვისტო.

5) ამხ. ზინოვიევის მოხსენების კონსპექტი, რომელიც დაურიგდებათ მიმაგრებელ ამხანაგებს.

(3—1) ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

პარასკევს 8 სექტემბერს საღამოს 6 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგება ამავე

## უნივერსიტეტის კომუნისტ-სტუდენტთა იაჩეიკის სხდომა,

რომელზედაც გარჩეულ იქნება ფრიად მნიშვნელოვანი კითხვები.
დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა.

**იაჩეიკის ბიურო.**

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა პოლონელ კომუნისტებს და აგრეთვე პოლონურ ენის მცოდნეთ ერთი კვირის ვადაში გატარდენ

## რეგისტრაციაში

ს. კ. პ. თბ. კომ. აღმნუსხველ-განმანაწილებელ განყოფილებაში.

თბ. კომ. მდივანი **კახიანი.**

## საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი

აქვეყნებს იმ პასუხისმგებელ მუშაკების სიას, რომელნიც მიმაგრებულნი არიან კომიაჩეიკებზე სახელმძღვანელოდ:

მზეჭდავთ იაჩეიკა № 1 ამხ. **გირაპი და ხოკოლოვსკი.** ექსპედიციის იაჩეიკა № 2 ამ. **ბიბინეიშვილი,** სახელმწიფო ოპერის იაჩეიკა № 3 ამხ. **მამულაიშვილი,** ქალაქის 2 პურის საცხობის იაჩეიკა № 4 ამხ. **ჰანტურია,** ქალაქის მილიციის იაჩეიკა № 5 ამხ. **ეხხენი ალ. და ალ. ჯაფარიძე,** სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს იაჩეიკა № 6 ამხ. **ტოროშელიძე და ხვანიძე,** მკერავთა იაჩეიკა № 7 ამხ. **კალანდაძე და ხავარიანი,** პოლიტეხნიკუმის იაჩეიკა № 8 ამხ. **ავაქოვი,** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის იაჩეიკა № 9 ამხ. **კიკალეიშვილი და წიგწიგაძე,** საგანგებო კომისიის იაჩეიკა № 10 ამხ. **აგნიევი და ოკუჯავა,** უნივერსიტეტის იაჩეიკა № 11 ამხ. **ნუცუბიძე და კანდელაკი,** სახალხო კავშირის იაჩეიკა № 12 ამხ. **თოდრია და ალექს. ყამარაული,** ბოზარჯიანცის ფაბრ. იაჩეიკა № 13 ამხ. **კვირიკაძე და ხალარიძე,** საქართველოს საგანგებო კომისიის პოლკის იაჩეიკა № 14 ამხ. **ვაშაძე და გურსკი,** საფაროვის ფაბრ. იაჩეიკა № 15 ამხ. **ელისაბედაშვილი,** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის იაჩეიკა № 16 ამხ. **ხოლოვიავიანი და კვირკველია,** განსაკუთრებული დანიშნულების რაზმის იაჩეიკა № 18 **ხანდრო თუმანოვი,** ცეცხლის მქრობელთა იაჩეიკა № 10 ამხ. **ლადო დუმბაძე და ამო არუთინიანი,** ტყავეულობის მუშების იაჩეიკა № 20 ამხ. **ალაჯანოვი და მარიამ ეხხენი,** საქართველოს სახ. კომისარიატების იაჩეიკა № 21 ამხ. **მოგილევსკი.**

საერთო რაიონის მაშტაბში სამუშაოთ მიმაგრებულნი არიან შემდეგი ამხანაგები: **მიახნიკოვი, მიშა ოკუჯავა, ბუდუ მდივანი,** და **კოტე ცინცაძე.**

**ყველა დასახელებულ ამხანაგებს ევალებათ 3 დღის განმავლობაში დაიჭირონ კავშირი სათანადო იაჩეიკების მდივნებთან, ხოლო მდივნებმა წერილებით შეატყობინონ რაიკომს მათი გამოცხადების შესახებ.**

**რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი: აბასი.**

# ახალგაზრდათა კომკავშირში

**ამიერ-კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა ორგანიზაციებს**

ა. წ. 15 სექტემბერს რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტები იწვევს ტფილისში კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის 2-ე საოლქო ყრილობას.

**დღის წესრიგი:**

1) ფედერატიულ რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა.

2) საერთაშორისო ახალგაზრდობის მოძრაობა.

3) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ანგარიში და მოხსენება. „ამიერ-კავკასიის კავშირის გაწმენდის შესახებ“.

4) სრულიად რუსეთის მე IV ყრილობისა და ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის 1 ყრილობას გადაწყვეტილებათა გატარების შედეგები.

5) ახალგაზრდათა კომკავშირის მუშაობა ახალ პირობებში.

6) ახალგაზრდობის არაკომუნისტური ორგანიზაციების შესახებ.

7) რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის არჩევა.

8) დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის ყრილობაზე.

ყრილობა გამოჰყოფს მუშა-ახალგაზრდობის პოლიტიკურ-განმანათლებელ, შრომის, ყოფაცხოვრების და განათლების სექციებს.

წარმომადგენლობის ნორმა: 250 კაცზე—1 დელეგატი.

დელეგატები დაშვებულნი იქნებიან მხოლოდ გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რუსეთის ახალგაზრდობათა კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი **ვ. ფეიგინი.**

# ეკონომიური ცხოვრება

## ჩვენი მეცხვარეობა და „მწყემსი“.

მეცხვარეობა ჩვენი მეურნეობის ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დარგია, მაგრამ მას დღემდე მეტად ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ჩვენის სახელმწიფოებრივ ორგანოების მხრით. ერთად-ერთი ორგანიცაცია, რომელიც ასე თუ ისე ფხიზელ დარაჯად უდგას ჩვენს მეცხვარეობის ⁊ მის განვითარებისთვის ზრუნავს, არის სრულიად საქართველოს მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“. ეს ამხანაგობა დაარსდა 1920 წელს და სულ მოკლე ხანში გარს შემოიკრიბა და გააერთიანა საქართველოს მეცხვარეთა დიდი უმრავლესობა. ამხანაგობას ამ ჟამად 8.000 ოფიციალური წევრი ჰყავს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამხანაგობაში ოფიციალურად მხოლოდ ერთი კაცი ეწერება თვითეულ ბინიდან, ეგრედ წოდებული ბინის თავი, მაშინ „მწყესის“ წევრთა ნამდვილი რიცხვი ბევრად მეტი იქნება, ყოველ შემთხვევაში 10.000 კაცზე მეტი. „მწყემსის“ წევრებს ჰყავთ საუკეთესო ჯიშის ცხვარი რიცხვით ერთ მილიონზე მეტი სული.

„მწყემსის“ ამხანაგობას თავიდანვე გადაეღობა რამდენიმე დაბრკოლება. ამხანაგობის დაარსების წელს გამოცხადებული იყო სახელმწიფოებრივი მონოპოლია მატყლზე. მონოპოლიის განხორციელებაში „მწყესმაც“ მიიღო მონაწილეობა და მის საწყობებიდან მთელი მოგროვილი მატყლი გადიოდა საზღვარ-გარედ მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის (მომარაგებ. სამინისტროს) ორდერებით. წაღებულ მატყლის საფასური (ფუთზე 4.000 მან.) მთავრობამ დროზე ვერ მისცა „მწყემსს“, რომ მეცხვარეები დაეკმაყოფილებინა და დარიგებულ იქნა ნაწილნაწილად ისიც იმ დროს, როდესაც ფულის კურსი დაცემული იყო და დაწესებულ ფასს —4.000 მ. თავისი პირვანდელი მნიშვნელობა აღარა ქონდა. ამან, რასაკვირველია, უკმაყოფილება გამოიწვია მეცხვარეთა შორის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენი ათეული მილიონის მამეთის მატყლი დღესაც სახელმწიფოზე ირიცხება და მისი ფასი „მწყემსს“ დღესაც არ მიუღიათ, თუმცა მის ანგარიშებს „მწყემსი“ თვით უსწორებს მეცხვარეებს კურსის მიხედვით.

მეცხვარეთაგან მიღებული მატყლიდან 2 500 ფუთი საუკეთესო ხარისხის მატყლი საზღვარ-გარეთ იქნა გატანილი, დანარჩენი კი შინაურ ბაზაარზე დაიხარჯა.

ამ გარემოებით ისარგებლეს სპეკულიანტებმა, კერძო პირებმა და ზოგიერთმა დაწესებულებებმა, რომელთაც სანავარდო ასპარეზი მოისპოთ და გულმოდგინედ ამუშავდნენ როგორც სახელმწიფოებრივ მენოპოლიისა, ისე „მწყემსის“ წინააღმდეგ. ისინი ყოველმხრივ სამზადისს შეუდგნენ და უპირველეს ყოვლისა მეცხვარეებს ჩასისინებდნენ და ახლაც ჩასისინებენ ყურში: ნახეთ, გროშები გადმოგიყარეს, სახელმწიფო ფულს ვერ გაძლევთო და სხვა.

ჩვენი მეცხვარეობისთვის არც 1921 წელი იყო ხელსაყრელი. ამ წელს სახელმწიფოებრივი მონოპოლია არ იყო გამოცხადებული. „მწყემსმა“ ენერგიულად მიჰყო ხელი საქმეს და მატყლის შეგროვებას შეუდგა მოცხვარეთა შორის, რათა ისინი ძველებურად კიდევ არ ჩაცვივნულიყვნენ სპეკულიანტების ბრჭყალებში. შეგროვილ მატყლს „მწყემსი“ სახალხო სასურსათო კომისარიატს აბარებდა. სულ ჩააბარა რამდენიმე ათეული ათასი ფუთი მატყლი. ეს ის ხანა იყო, როდესაც ძველი წესწყობილება დანგრეული იყო, ახალი კი ორგანიზაციის პროცესს განიცდიდა. ამავ საორგანიზაციო პროცესში იყო ჩაბმული სახალხო სასურსათო კომისარიატიც, რომელმაც „მწყემსს“ ვეღარ მისცა გარიგებული ფასი, „მწყემსმა“ თავის მხრით შესაფერი ზომები მიიღო: ნაწილი მატყლისა თვით გაანაღდა და მოგებიდან მეცხვარეები გაისტუმრა. ფუთზე 200.000 მან. მისცა

წელს მონოპოლია კვლავ გამოცხადებულია და ამ მონოპოლიის განხორციელება მთავრობისაგან მინდობილი აქვს სახალხო სასურსათო კომისარიატს, რომელიც ამა წლის აპრილის 29-ს ხელშეკრულებით და მაისის 23 ის დამატებით ხელშეკრულებით ამ მონოპოლიას ანხორციელებს „მწყემსის“ ამხანაგობის საშუალებით. ხელშეკრულობის ძალით სახალხო სასურსათო კომისარიატი საჭირო კრედიტს უხსნის „მწყემსს“, რომელიც ამ კრედიტით მეცხვარეებს მისცემს საგანგებო კომისიის მიერ დაწესებულ ფასს. რეალიზაციის შემდეგ მიღებული მთელი წმინდა მოგება ნაწილდება მეცხვარეთა და სახალხო სასურსათო კომისარიატს შორის. ამას გარდა 10 პროც. გადაიდება მეცხვარეობის განვითარების ფონდში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

„მწყემსი“ უკვე შეუდგა მატყლის მოგროვებას. აღთქმულს კრედიტის მიღებამდე მან უკვე რამდენიმე მილიარდი მან. საკუთარი თანხა მოახმარა ამ საქმეს. მთელს აღმოსავლეთს საქართველოში, სადაც მეცხვარეობას მისდევენ, დაგზავნილი ჰყავს გამოცდილი აგენტები. წელს შეიძლება შეგროვება არა ნაკლებ 100.000 ფუთი მატყლისა, თუ მატყლის შესაგროვებლად საჭირო ფულს „მწყემსი“ თავის დროზე მიიღებს. დაიწყო მატყლის შეგროვება და კვლავ ამოძრავდნენ კერძო პირები, ფირმები და დაწესებულებანი მონოპოლიის წინააღმდეგ. ისინი აღარ მალავენ და გარკვეული და ცხადი მოწინააღმდეგენი ხდებიან მთავრობის დეკრეტისა მატყლის მონოპოლიის შესახებ. მათ აუცილებლად ესაჭიროება ლაგამი. ამიტომ სახალხო სასურსათო კომისარიატს მართებს, გამოიჩინოს ამ საქმეში განსაკუთრებული ყურადღება და შეურყეველი სიმტკიცე და გადაჭრილი ზომები მიიღოს მათ წინააღმდეგ, რომელნიც მატყლის სახელმწიფოებრივ მონოპოლიის ჩაშლას ლამობენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის ნახევარი საძოვარს წარმოადგენს, რომელიც თავის ბუნებრივ პირობათა გამო მუდამ საძოვრად დარჩება. ეს საძოვრები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ მეცხვარეობისთვის, რომელსაც მომავალში აუცილებლად უნდა მიეცეს ფართო სამრეწველო ხასიათი. ამის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რომ მეცხვარეობა კლებულობს. ეს გარემოება სახელმწიფოსაგან დიდს და დაბეჯითებულ ყურადღებას ითხოვს. ჯეროვანი ნაბიჯები ახლავე უნდა იქნას გადადგმული. მატყლის საქმე ისე უნდა მოწესრიგდეს, რომ მეცხვარეობის სამეურნეო ერთეულს არსებობა შეეძლოს. ამ საქმესთან მჭიდროდ დაკავშირებულია ჩვენი ცხოვრების მრავალი მხარე: 1) საძოვრების მოწესრიგება და მათი გამოყენება, 2) გზების საკითხი, 3) სარკინისგზო ტარიფი, 4) ბაჟი შემოტანილ და გატანილ საქონელზე (შარშან თითო ფუთ გასატან მატყლზე დაწესებული იყო ერთი თუმანი, ოქრ., შემოტანილზე კაპეიკები იყო), 5) შინამრეწველობის საკითხი, 6) განათლების საკითხი, 7) საფეიქრო საქმე, 8) ტყავეულის საქმე, 9) მერძეობის ტეხნიკის განვითარება (დღემდე არც ერთი ქართველი ზოოტეხნიკი-აგრონომი არ მოგვეპოვება), 10) საზღვრების საკითხი, 11) ვეტერინარული კარანტინი, 12) ცხვრის დაცვა ბრბოებისაგან (შარშან მეზობელ რესპუბლიკებში ბრბოებმა გაიტაცეს 50,000 სული ცხვარი; წელსაც იყო შემთხვევები ცხვრის გატაცებისა) და სხვა.

საქართველოს პური არასოდეს არ მოსდის საკმარისი. არც ღვინო აქვს იმდენი, რომ ყველა მოსახლეს შეეძლოს დღეში თითო ჭიქა ღვინის დალევა. მეთამბაქოება მოისპო. მეხილეობა სულს ღაფავს ტრანსპორტის მოშლისა და რუსეთის ბაზრის დაკარგვის გამო. დარჩა ერთად-ერთი მეცხვარეობა, რომელსიც შეიძლება მიეცეს ფართო სამრეწველო ხასიათი. ამ საქმეს მეტად მოფიქრებული და უზრუნველი ყურადღება ესაჭიროება. აქ გვაგონდება ერთ-ერთის მენშევიკური მინისტრის სიტყვები, რომელმაც მეცხვარეებს დაუშალა ზაფხულში ახალ ქალაქისაკენ ცხვრის გარეკა: საცა ზამთარში იყავით, იქ ეხლა ვეღარ ეტევითო. მინისტრის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც გაიგო, რომ მეცხვარეები იმიტომ მირეკებიან ცხვარს საშიშს და შორეულ ადგილებში, რომ სიცხისაგან ცხვარი არ გაწყდეს.

„მწყესმა“ თავისი სამი წლის არსებობის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ყველა ზემოხსენებული საკითხები, რომნლიც დაკავშირებულია მეცხვარეობის მომავალთან, გარკვევით ჩამოაყალიბა და მათს განხილვას და გადაჭრას სასწრაფო ხასიათი მისცა. ამას გარდა გადასდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც: მეცხვარეებს დაურიგა სეპარატორები, გაავრცელა მათ შორის შესაფერი ცოდნა და დაამყარა მეცხვარეობის დარგში ერთგვარი წესი და წესიერება.

აღსანიშნავია ქართულ მეცხვარეობის ერთი დამახასიათებელი თვისება, ეგრედ წოდებული ბინის წესი. ბინა ხშირად შესდგება 10—25 კაცისაგან. ეს ბინა ხშირად ერთს კაცს ეკუთვნის იურიდიულად, მაგრამ არსებულ ადათჩვეულების მიხედვით ბინაზე მყოფი ყველა წევრი მოზიარე და მონაწილე არის როგორც მოგებისა, ისე თავნისა. უცხვროდ მისული მწყემსი ბინიდან ცხვრით გამოდის და თუ სურვილი და უნარი აქვს საკუთარს ბინას იკეთებს. ცხვარი კი მსგავსად ფუტკრის ნაყარისა უცბად მრავლდება.

მეცხვარეობა ჩვენში მეტად რთული და ძნელი საქმეა, მაგრამ ხელსაყრელი და დიდის მოგების მომცემია, ამიტომ მისდამი უყურადღებობა დიდ შეცდომად და დანაშაულობად უნდა

ჩაითვალოს. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ ყველა გამვლელს არ შეეძლოს ჩვენი მეცხვარეობის პროდუქტების ხელში ჩაგდება და პირად ინტერესებისთვის გამოყენება.

ბ.

## მდგომარეობა ბირჟაზე.

### თბილისის ბირჟა.

თბილისი. 7 სექტემბერი. თბილისის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 6 სექტემბერი:

ოქროს 10 მან.—1.000.000, ლირა თათრული—160,000, გირ. სტერ.—1,150,000, დოლარი—250,000.

### ბაქოს ბირჟა.

ბაქო, 1 სექტემბერი (დეპეში). ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი:

| | 30 აგვ. | 31 აგვ. |
|---|---|---|
| დოლარი | 6,300,000 | 6,400,000 |
| გირ. სტ. | 28,700,000 | 28,900,000 |
| ფრანკი | 530,000 | 540,000 |
| ლირა სტ. | 280,000 | 280,000 |
| ლირ. თათ. ქ. | 4,300,000 | 4,400,000 |
| მარკა | 8,400 | 8,400 |
| რუს. ვალ. | 97 | 96,5 |
| „ 1922 (შემც. 100 ათ) | 97 | 96,5 |
| „ „ ზედმ. | 97 | 96,5 |
| „ „ ვალ. 10 მილ. | 97 | 96,5 |
| შემც. ვალდ. 5000 და 10000 | 97 | 96,5 |
| ქართული | 2,600 | 2,550 |
| ოქრ. 10 მ. | 29,650,000 | 29,700,000 |
| თათ. ლ. ოქ. | 24,400,000 | 24,600,000 |
| ნატ. 56 სინჯ | 5,800,000 | 5,800,000 |
| თუმანი | 3,900,000 | 3,900,000 |
| 1 მან. ვერცხ. | 1.350.000 | 1.675.000 |
| 1 „ დახურდ. | 690.000 | 690.000 |

განწყობილება მტკიცეა.

### ბათომის ბირჟა.

**ბათომი.** 3 სექტ. ბათომის სავალიუტო საქონლის ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 2 სექტ. თათრული ლირა ქაღ.—165—170.000 ქართული ბონით, 4.200.000 საბჭ. ნიშნ. დოლარი—175—160 პიასტრი, გირ. სტ. 720—735., 1000 მარკა—200—250., 20 ფრ.—240—250., 20 ლირა იტალ.—120—140., თათრული ლირა ოქროს—540—550. ოქროს 10 მან. —630—645.

### ერევნის ბირჟა.

**ერევანი.** 6 სექტ. ვალიუტის საბაზრო კურსი სომხური ფულის ნიშნებით: ოქროს 10 მან.—43.600.000—43.800.000. თათრული ლირა ოქროს —38.400.000. დოლარი—10.600.000 —10.800.000. თათრული ლირა ქაღ. —680.000. ქართული ბონი 40.000—42.000. თუმანი—7.000.000.

### ლონდონის ბირჟა.

**ლონდონი.** 6 სექტემბერი (რადიო) პარიზი—56525. ნიუ-იორკი—4,47. ბრიუსელი—60,225. ჟენევა—23,52. მილანი—102,5. ბერლინი—5525.— ვენა—320000,00. პრაგა—125,00. ჰელსინქფორსი—205,00. მადრიდი—28,795. ვერცხლი—3548.

### რომის ბირჟა.

**რომი.** 5 სექტემბერი (რადიო). პარიზი—178,80. ლონდონი—102,60. ნიუ იორკი—23,25. შვეიცარია—465 ბერლინი—1,75. პრაგა—79. რენტა—72,40. კონსოლიდა—81,52.

### ბერლინის ბირჟა.

**ბერლინი.** 6 სექტემბერი (რადიო). გირ. სტერლინგი—5652,90. დოლარი—1248,43. ჰოლანდიური გულდენი—49438,10.

### პარიზის ბირჟა.

**პარიზი.** 6 სექტემბერი (რადიო). ლონდონი—56,30. ნიუ იორკი—12,66. გერმანია—1,00. ისპანია—196,50.

## პროვინციაში

### გორის მაზრა

გორის მაზრა, მიუხედავათ მისი სიდიდისა და ცენტრიდან უფრო ახლო ყოფნისა, მაინც შედარებით ზოგიერთ მაზრებთან ჩამორჩენილია პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის მხრივ.

სამაზრო ქალაქში, სადაც 15,000 მცხოვრებზე მეტია, ერთი კინემატოგრაფიც კი არ არსებობს. არის მხოლოდ ერთი სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომელიც სულს ლაფავს, ნახევარჯელ დაკეტილია. ამ გვარ კულტურულ ჩამორჩენაში შეიძლება ცოტა დანაშაულობა მთავარ-პოლიტ-განათლ. სამმართველოს მიუძღოდეს, რამდენადაც ის ფინანსიურად ნაკლებ დახმარებას უწევს მას, მაგრამ ეს არ იქნება მთელი მიზეზი ჩამორჩენისა. საკმარისი იქნებოდა და არის გამოიჩინოს ადგილობრივ პოლიტ-განათლებამ ენერგიული მოღვაწეობა ამ დარგში, რომ გამონახოს ადგილობრივი. წყაროები შემოსავლისა და ამ წყარო-გზით იმუშაოს ხალხის სასარგებლოთ.

საჭიროა ამ საქმეში დაინტერესებულ პირთა მიერ ენერგიული ზომების მიღება, რათა შემდეგში მაინც გაჩაღდეს ქ. გორში და მის მაზრაში პოლიტიკურ-განმანათლებელი მუშაობა. გაკეთება კი ბევრ რამისა შეიძლება. არსებობს საზაფხულო კლუბი, რომელსაც ბევრ ნაკლთა შორის არა აქვს თითქმის არავითარი დეკორაციები, არ ვარგა სცენა და წარმოიდგინეთ ფარდაც კი არ მოეპოვება. ხალხს კი საჭირია გასართობი ადგილი, მას უნდა სულიერათ დასვენება და გონებრივი ცოდნა-განვითარება, ამიტომ საჭიროა შესდგეს პოლიტ-განათლებასთან სცენის მოყვარეთა წრე პერიოდიულ წარმოდგენების გასამართავათ, რის შემოსავლით თანდათან კლუბიც მოეწყობა. საჭიროა აგრეთვე შესდგეს ლექტორთა წრე და კვირეში ორჯერ მაინც წაკითხულ იქნეს ლექციები. მოხდეს რეგისტრაცია წ. კ. უ. ახალგაზდობისა, დანაწილდნენ ისინი სკოლებში, დაენიშნოთ მასწავლებლები და გაჩაღდეს მათთან საღამოებით მეცადინეობა, გაფართოვდეს ქოხ-სამკითხველოები და იქნენ მთელი დღით ღია და არა ორი ან სამი საათით დღეში, როგორც აქამდე არის. საჭიროა მიექცეს ყურადღება რაიონებსაც საჭიროა დაევალოს ინსტრუქტორს პოლიტ-განათლებისას რაიონების ჩამოვლა-დათვალიერება და მოწყობა ზემო ჩამოთვლილ დაწესებულებებისა. დიდ მნიშვნელოვანი იქნება თუნდაც მარტო ისიც, რომ ინსტრუქტორი გაზეთებით ხელში გაემგზავროს სოფლიდან სოფლათ და საღამოობით სამუშაოდან მოსულ და შეგროვილ გლეხებს გაუმართოს საუბარი, წაუკითხოს გაზეთები ან სხვ დარწმუნებული ვართ, რომ ამით გლეხობას იგი დააინტერესებს და ბევრ რამ სასარგებლო ცნობებს ჩაუნერგავს გულში. აუცილებლად საჭიროა სოფლათ მუშაობა ამ გვარ პროპაგანდისტისა, რომელიც გლეხებს შორის გაჰფანტავს სიბნელეს, გაადვიძებს მასში ცოდნის შეძენის წყურვილს.

ამ გვარ მუშაობის გასაჩაღებლათ, რასაკვირველია, თანხაა საჭირო, მაგრამ გადაჭრით უნდა აღნიშნოს, რომ ადგილობრივი წყაროები შემოსავლისა სულ თუ არა დიდ საგრძნობ ნაწილს ამ ხარჯებისას დაფარავს. ადგილობრივი წყაროები კი გორის პოლიტ განათლებას მოეპოვება, მხოლოთ უნდა მით სარგებლობა. შემოსავალი შეიძლება იქნეს კლუბიდან, კინემატოგრაფიდან, როცა მოეწყობა, კლუბთან არსებულ ბუფეტიდან, გასართობ სათამაშოებიდან და სხვა. ამნაირათ ადგილობრივი წყაროების საშუალებით და ცენტრიდან დახმარებით სულ ადვილია და საჭიროცაა გაჩაღდეს გორში და მის მაზრაში პოლიტ განმანათლებელი მუშაობა, რითაც ცოტათი მაინც ბოლო მოეღება მცხოვრებთ შორის უაზრო ცხოვრებას; ლოთობას, ისეთ გასართობებზე დროის დაკარგვას, როგორიცაა ჭიდაობა, რომელიც რამდენჯერმე გამართულა საჯაროთ. ნაცვლათ ამისა მივცეთ ხალხს პოლიტ-განმანათლებელ მუშაობით იმ მიმართულებას, ცოდნას და შეგნებას, რომელსაც გვიკარნახებს დღეს ჩვენი რევოლიუციონური ხანა და მომენტი.

**შალვა გორელი.**

### მარტვილის რაიონი

(სენაკის მაზრა)

ა. წ. 6—14 აგვისტოს მარტვილის რაიონის შემავალ თითეულ თემში (მარტვილის, ხუნწის, ნაგვაზოუს, ნახუნოუს და გაჭედილის) მაზრის აღმასკომის მიერ იქნა ჩატარებული შინა აღმშენებლობითი კამპანია (როგორიც არის, შკოლების რემონტი და მისი ინვენტარით უზრუნველყოფა, გზების და ხიდების, როგორც ახლად გაყვან-გაკეთება, ისე მათი შეკეთება და აგრეთვე შეშის შეძენა დაწესებულებებისათვის საზამთროთ)

ზემოხსენებული აღმშენებლობითი კამპანია იმდენათ მიზანშეწონილი და აუცილებელი გამოდგა, რომ მთელი რაიონის მაშტაბით მშრომელი გლეხები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ მას. მუშაობა ჩინებულად მიმდინარეობს.

საჭიროა მაზრამ აღმოუჩინოს მეტი დახმარება ტეხნიკური ძალებით გზების გასაყვანათ.

**ი. მონიავა.**

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### განათლების მუშაკთა კავშირის და განათლების სახალხო კომისარიატის და მათი ორგანოების ადგილებზე ურთიერთ შორის დამოკიდებულება.

ურთიერთ დამოკიდებულების საფუძვლად აღებულია სრ. რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს ცირკულიარი ყველა პროფკავშირების მიმართ, რომელიც ეხება ამათ სამეურნეო ორგანოებთან დამოკიდებულებას.

კონტაქტი განათლების კომისარიატის და ადგილობრივ განათლების განყოფილებათა კავშირებს შორის ხორციელდება შემდეგის სახით:

**კავშირი:** ა) გზავნის წარმომადგენელს სახალხო კომისარიატთან არსებულ თათბირში ყოფ. კოლეგიაში და განათლების განყოფილებაში.

ბ) იღებს მონაწილეობას განათლების კომისარიატის და განათლების განყოფილების ხელმძღვანელ ორგანოების და სხვა დაწესებულებების ადმინისტრატიულ და სხვა თანამდებობის პირის დანიშვნაში (ასახელებს თავის კანდიდატს და საერთოდ მსჯელობს კომისარიატის და განათლების განყოფილების მიერ წამოყენებულ კანდიდატებზე).

იღებს მონაწილეობას განათლების კომისარიატთან და განათლების განყოფილებასთან არსებულ მუდმივ თუ დროებით მოწვეულ კომისიების მუშაობაში, მაგ. საგეგმო, საპროგრამო, მეთოდიური და სხვა სპეციალურ კომისიებში.

გ) იღებს მონაწილეობას განათლების მუშაკთა შრომის ჯილდოს დასაფარავად თანხის გაღებაში და უკანასკნელის განაწილებაში, როგორც განათლების კომისარიატში, ისე განათლების განყოფილებებში.

დ) ისმენს პერიოდიულად გან. კომისარიატის, განათლების განყოფილების და სახელმძღვანელ კომიტეტების მოხსენებას მათ მუშაობაზე.

ე) ანგარიშობს უშუალო მეთვალყურეობას და კონტროლს სახალხო განათლების კომისარიატის და განათლების განყოფილების მიერ დასახულ გეგმების და პროგრამის ცხოვრებაში გატარების საქმეში ამასთანავე არ არღვევს გამოსაკვლევ დაწესებულებათა ყოველდღიურ მუშაობის მსვლელობას.

სახალხო განათლების კომისარი **დ. კანდელაკი.**

კავშირის იასუხისმგებელი მდივანი **შალვა გეგენავა.**

1 სექტემბემბერი, 1922 წ.

---

**სარედაქციო კოლეგია**

---

გაზეთის ტრესტის მთავარ

# კანტორისაგან

რათა არ იქნეს შეწყვეტილი გაზეთების გზავნა, გაზეთის ტრესტის მთავარი ანტორა სთხოვს ხელის მომწერლებს თავის დროზე იზრუნონ ხელის მოწერის განახლებაზე.

ხელის მოწერა მიიღება თბილისის ყველა გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი ძველია. ხელის მოწერა მიიღება რამდენიმე თვისაც ამა წლის დასასრულამდე.

**გაფრთხილება:** ხელის მომწერლებს, რომლებიც არ შემოიტანენ მომავალ თვის პირველამდე სექტემბრის ხელის მოწერის ფასს, ან არ დაფარავენ თავიანთ ვალების ვალდებულებას, გაზეთები აღარ გაეგზავნება,

(0—37)

---

# თბილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე**, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

**ოც ოქტომბრამდე**

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.

(287—3—1)

---

ეკატერინე ვასილის ასული ერემენკო, სტეფანე (მიჭიკო) იოსების ძე, აკილინა ბართლომეს ასული, მარგალიტა და თინა კალანდარიშვილები ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისათვის ძვირფასი დედა, მეორეთათვის დაუვიწყარი და, მესამეთათვის მული და უკანასკნელ ორთათვის ტკბილად მოსაგონარი დაუვიწყარი მამიდა

## პელაგია იოსებ კალანდარიშვილის ასული

# ერემენკო.

დაკრძალვა მოხდება ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში 9 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან ქ. თბილისი ყიფიანის ქ. № 8. (292—2—1)

---

ლავრენტი (პოუ) და ალფონი ალექსანდრეს ძენი, ლიზა ნიკოლოზის ასული და ნადეჟდა ლავრენტის ასული **ნადარაიები** ამით აცნობებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარა გამზრდელი დეიდაშვილი

## პელაგია იოსებ კალანდარიშვილის ასული

# ერემენკო

დაკრძალვა მოხდება ქ. თბილისის ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე 9 სექტემბერს ნაშუადღევის 4 საათზე, გამოსვენება საკუთარ ბინიდან ყიფიანის ქ. № 8. (292—1—1)

---

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის მუშა მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი და საყვარელი

## ამხ. ვლადიმერ (ლადო) სარდიონის ძე

# ხოხიაშვილი

რომლის დაკრძალვა დანიშნულია კვირას 10 ენკენისთვეს წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. გამოსვენება იმავე დღეს დილ. 9 საათ. არამიანცის საავადმყოფოდან, და მისვენებული იქნება სამხედრო ტაძარში. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. მეტეხის აღმართი № 10. (293—2—1)

---

# სახალხო სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელ განყოფილებისა

სექტემბრის 8 დან განმანაწილებელი განყოფილება ივლისის მშრალ ულუფის დარიგებას იწყებს. ულუფა მიეცემა საბჭოთა იმ მოსამსახურეებს, რომელნიც ივლისში სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე ითვლებოდნენ და ან მარაგდებოდნენ სახალხო სასურსათო კომისარიატთან დადებულ ხელშეკრულობის თანახმად.

**ივლისის ულუფაში შედის:**

| | |
|---|---|
| ფხვნილი შაქარი | 1 გირვანქა. |
| ჩაი | ერთი მეოთხ. გ. |
| ლობიო | 5 გირვანქა. |
| მარილი | 3 გირვანქა. |
| ბრინჯი | 3 გირვანქა. |

ულუფა გამოთხოვნილ უნდა იქმნას დაწესებულების, ან წარმოების მიერ ერთის კვირის განმავლობაში ნაჩვენებ რიცხვიდან.

**ულუფის მიცემის წესი:** მოთხოვნილებანი წარდგენილ უნდა იქნენ ჯგუფების წარმომადგენელთა საშუალებით სახალხო სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელ განყოფილებაში (ევანგულოვის ქ, № 2); პროდუქტები გაიცემა სახ. სას. კომისარიატის ცენტრო-საწყობიდან (ელისაბედის ქ., № 133). ტარა წამოღებთ თვით უნდა მიიტანონ.

ულუფის მოთხოვნილებაში ნამდვილად ნაჩვენები უნდა იყოს ფაქტიური რიცხვი საბჭოთა მუშაკებისა, რომელნიც სახელმწიფოებრივ მომარაგების მტკიცე შტატებში ირიცხებიან და რომელთაც ივლისის ულუფა ეკუთვნით ნატურით.

**ივლისის ულუფის შეფასება:** 1. იმ წარმოებებმა და დაწესებულებებმა, რომელნიც სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე ირიცხებიან და მუშა-მოსამსახურეებს ხელფასს აძლევენ დეკრეტით მტკიცედ განსაზღვრულ ტარიფით (1922 წლის იანვრის 1-ს თარიღით) ჯამაგირიდან მუშა-მოსამსახურეებს უნდა დაუჭირონ შემდეგის ანგარიშით.

| | | |
|---|---|---|
| 1 გირვანქა შაქარი | 17.000 | მან. |
| ერთი მეოთხედი გირ. ჩაი | 16.000 | „ |
| 5 გირვანქა ლობიო | 20.000 | „ |
| 2 გირვანქა მარილი | 3.000 | „ |
| 3 გირვანქა ბრინჯი | 40.000 | „ |

**სულ უნდა დაუჭირონ მშრალ ულუფაში** . . . . . . . 96.000 მან.

პურის ღირებულებასთან ერთად სულ უნდა დაუჭირონ ჯამაგირიდან იმ მოსამსახურეებს, რომელნიც იღებენ:

| | | |
|---|---|---|
| 1 გ. პურს | 201.000 | მან. |
| 2 „ „ | 306.000 | „ |
| 2 ნახ გ. პურს | 359 000 | „ |

2. იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელთაც კოლექტიური ხელშეკრულება დადებული აქვთ, ულუფა მიეცემათ შემდეგის შეფასებით:

მშრალი ულუფა ზემოხსენებულ შეფასებით 96.000 მან.

პურის ღირებულებასთან ერთად სულ:

| | | |
|---|---|---|
| 1 გ. პური | 276.000 | მან. |
| 2 „ „ | 445.000 | „ |
| 2 ნახ. გ პური | 546.000 | „ |

ამ ნაჩვენებ შეფასების კვალად მუშა მოსამსახურეებს ულუფის ღირებულება უნდა გამოერიცხოთ სექტემბრის ჯამაგირიდან.

**სახალხო სასურსათო კომისარიატის განმანაწილებელი განყოფილება.**

284. 1—1

---

## ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

# სამკურნალო

საწოლი ოთახებით

## მიხეილ გედევანიშვილისა

ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91

(25—23)

---

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ კონტრ-აგენტებს

# საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთ კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხის გებაში.

(0—16)

---

## დედობისა და ბავშვობის ჯანმრთელობის დაცვის 1-ლი ამიერ-კავკასიის ყრილობა.

აზერბეიჯანის და საქართველოს ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების ინიციატივით 15 ოქტომბერს, თბილისში მოწვეული იქნება **დედობისა და ბავშვობის ჯანმრთელობის დაცვის**

## 1-ლი ამიერ-კავკასიის ყრილობა.

ყრილობაზე გამოყოფილი იქნება 3 სექცია 2 ქვესექციით: 1) ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ა) სკოლის ასაკის ბავშვებისა და ბ) შკოლის ასაკამდე 2) დედობისა და ბავშვობის დაცვა. 3) სოციალურ-საზოგადოებრივი საკითხების გადამწყვეტი სექცია. საორგანიზაციო კომისია სთხოვს იმ პირებს, ვისაც სურთ და რომელთაც უკვე განაცხადეს სურვილი გააკეთონ მოხსენება ყრილობაზე, წარუდგინონ ასეთი მოხსენებები თეზისებით არა უგვიანეს 1-ლი ოქტომბრისა საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეს ექიმ ბოჟოვსკის, (პასკევიჩის ქ. № 4) 10—3 საათამდე ან მდივანს ექიმ კარა მურზას (მიხეილის ქ. № 138) 5—7 საათამდე. იმათვე უნდა მიმართონ ყოველგვარი ცნობების მისაღებათ. ის მოხსენებები, რომელიც წარმოდგენილი იქნება 1 ოქტომბრის შემდეგ, არ იქნება განხილული სარედაქციო კომისიის მიერ და არ იქნება მოსმენილი ყრილობაზე.

**საორგანიზაციო კომისიის პრეზიდიუმი.**

285. 1—1

---

სახალხო მეურნეობის უმაღლესი

საბჭოს

# სათბობ მასალათა

# განყოფილება

წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებებს და წარმოებებს, ვისაც აქვს განყოფილების ან ყოფ. მუზა-ბრიკე-მექარნე საზოგადოების ბოჭკები, 7 დღის განმავლობაში დააბრუნონ

ნავთის საწყობში **№ 1—2-ე** . . ავჭალის 11.
„ „ **№ 2** . . ნავთლუღი, კახეთის და ნავთლუღის ქ. კუთ.
„ „ **№ 3** . . მაზუთის შეს. **№ 5**.
„ „ **№ 4** . . ნავთლუღი კახეთის ჩიხი.
„ „ **№ 5** . . ბათუმის შესახ. **№** 3

აღნიშნული ბოჭკები თავისი საშუალებით ან ჩააბარონ ასეთები განყოფილების აგენტს—რწმუნებულს

იმ დაწესებულებებს და წარმოებებს, რომელთაც აღნიშნულ ვადაზე არ დააბრუნებენ ბოჭკებს, მოესპობათ ნავთის პროდუქტების მიცემა სათბობ მასალათა განყოფილების ტარაში.

281. 3—2

---

**დაკარგულია** მეტრიკული ამონაწერი ვერა გი ასულის დონგაძის სახელზე 2853. თვალოს გაუქმებულად. (288—1—1)

**დაკარგულია** თამარ სერაპიონის ასული რომ მეტრიკული მოწმობა გატანილი 102 № 912. ჩაითვალოს გაუქმებულათ. (240—1—1)

**დაიკარგა** სახლის წიგნი ერთი კვირის წინეთ ერას დევანის ძე ცუცქირიძემ № 151. ჩაითვალო ქმებულად. (284—1—1)

**დაიკარგა** მატრიკული (სალექციო წიგნაკი) გთხოვ ლოთ გაუქმებულათ სახელმწიფო უნივერს სტუდენტი გაიოზ კოპლატაძე. (291—1—1)

---

## ქ. თბილისის მე-9 რაიონის სახ. მოსამართ

იწვევს სახალხო სასამართლოში ტურგენევის ქ. 4. ირინა პოხომოვ ნეიდანოვს, რათა გამოცხადდეს იგი ხსენებულ სასამართლოში ორ განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან წარმოსა თავის მისამართისა. საქმეზედ, რომელიც აღძრულია სასამართლო მეუღლის ვასილი სტეფანეს ძე სალავიოვის მიერ განქორწინების წინააღმდეგ შემთხვევაში უწყება მის ირინა პოხომოვას—ას. ნეიდანო ხელობაზედ დატოვებული სასამართლოს კანცელარიაში ჩაითვლება ბულათ და საქმე არსებითად განხილული იქნება სასამართლოს მ

(287—1—

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლესი მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.